ზესტაფონის მუნიციპალიტეტის

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა

(LEDP)

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი

საქართველო

განვითარებული ეკონომიკა - ნაბიჯი ევროპისაკენ

2018 წ.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის მიმართვა

ზესტაფონის, როგორც ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ჩამოყალიბება შედარებით ახალი, დაახლოებით 150 წლის წინ, დაწყილი პროცესის შედეგია და დაკავშირებულია მანგანუმის მადნის მოპოვება-რეალიზაციასა და გადამუშავებასთან, ანუ ძირითადად სამრეწველო წარმოებასთან.

მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს განსაკუთრებული როლი და ადგილი უჭირავს, როგორც იმერეთის, ასევე მთლიანად საქართველოს მასშტაბით, არა მხოლოდ ფეროშენადნობთა ან კაბელების ქარხნით, რამედ ტრადიციული მეურნეობითა და კულტურით. შეიძლება ითქვას, რომ ზესტაფონი, როგორც იმერეთის რეგიონის, ასევე საქართველოს ერთერთი კულტურული ცენტრია - გამორჩეული თეატრალურ, სამუსიკო და სახელოვნებო სფეროებში მიღწეული წარმატებებით, მისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული კოლორიტით, სტუმარ-მასპინძლობით, და ამავე დროს - მეღვინეობის, მეთუნეობისა და კულინარიული ტრადიციებით.

ჩვენი ღრმა რწმენით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში შესაძლებელია განვითარდეს მისი სამრეწველო პოტენციალიც და აღორძინდეს და ახალი ბიძგი მიეცეს ტრადიციული მეურნეობისა და მეწარმეობის განვითარებას. ამ კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია ევროკავშირის ინიციატივაში „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ჩართულობა. მეტიც ამ ინიციატივაში მონაწილეობა ჩვენთვის ერთდროულად არის პატივიც და პასუხისმგებლობაც, გამოწვევაც და კონკრეტული პოზიტიური შედეგების მოლოდინიც.

განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა შემუშავებულია მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, ბიზნესის სხვადასხვა სექტორის, სსო-ის, ასევე განთლებისა და მეცნიერული სფეროს წარმომადგენლების ჩართულობისა და თანამშრომლობის საფუძველზე. ჩვენ აქტიურად ვუწყობდით ხელს და მომავალშიც ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მაქსიმალურად და წარმატებით განვითარდეს ასეთი თანამშრომლობა.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის განხორციელებამ სტიმული უნდა მისცეს არა მარტო მუნიციპალიტეტის სოციალური-ეკონომიკური განვითარებას, არამედ უნდა იქცეს მუნიციპალიტეტისა და რეგიონის მდგრადი განვითარების წინაპირობად. და რაც მთავარია - საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ევროპასთან დაახლოების ერთ–ერთ ფაქტორად.

გამოვთქვამ მზადყოფნას ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში მომზადებული ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის განხორციელებისთვის და ასევე გამოვთქვამ იმედს, რომ ევროკავშირთან ჩვენი თანამშრომლობა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი: კახაბერ მახათაძე

გეგმის ასლის მისაღებად, გთხოვთ მიმართოთ:

სახელი, გვარი: ბორის ჭიჭინაძე

თანამდებობა: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი

ფაქსი: 0492 25 11 65

ელ-ფოსტა: Borkach@mail.ru

1. მოკლე შეჯამება

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში შესაძლებელია აღორძინდეს და ახალი ბიძგი მიეცეს ტრადიციული მეურნეობისა და მეწარმეობის განვითარებას. ამ კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია ევროკავშირის ინიციატივაში „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ჩართულობა.

ზესტაფონი იმერეთის ერთ–ერთი ყველაზე კოლორიტული, თვითმყოფადი და ცნობადი მუნიციპალიტეტია, მოსახერხებელი გეოგრაფიული მდებარეობით, კარგი კლიმატური პირობებითა და საკმარისი ბუნებრივი რესურსებით. აქ არის მევენახეობისა და მეღვინეობის უძველესი ტრადიციები და ძლიერი კერა, ასევე მეთუნეობისა და კერამიკული წარმოების ტრადიციები. განთქმულია იმერული და კერძოდ ზესტაფონის სამზარეულოს და კულინარიის/გასტრონომიის ტრადიციები. რაც მთავარია, ყველა ამ მიმართულებით არსებობს საკმარისი რაოდენობის ბიზნესი, რომლებიც დამკვიდრებულია შიდა ბაზარზე და აქვთ გარე ბაზარზე გასვლის წარმატებული შემთხვევები. ამავე დროს სახეზე გვაქვს ხელისუფლების, ბიზნესის და სსო თანამშრომლობის გამოცდილება და მზარდი ტენდენცია და საზოგადოების ჩართულობის კარგი დონე ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტისას.

თუმცა სახეზეა გარკვეული სისუსტეებიც (მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო რესურსების შეზღუდულობა, არსებული ბიზნესების არასაკმარისი ფინანსური მდგრადობა; გარე ურთიერთობათა დაბალი დონე, საგარეო ბაზარეზე პოზიციონირების არ არსებობა; მენეჯმენტის არასაკმარისი კვალიფიკაცია და თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი კადრების ნაკლებობა; დაბალია თანამედროვე ტექნოლოგიების და ელექტრონული ტექნიკის დანერგვის დონე.

ჩვენი ხედვაა: ზესტაფონის მუნიციპალიტეტი - ზემო იმერეთის სამრეწველო, სავაჭრო, კომერციული ცენტრია განვითარებული სამრეწველო წარმოებით და მრავალფეროვნებით გამორჩეული ტრადიციული მეღვინეობისა და მეთუნეობა-კერამიკის დარგებით, კვების ობიექტების სიუხვითა და მომსახურების მაღალი ხარისხით. სადაც კარგი მმართველობის პირობებში ჩამოყალიბებულია ბიზნესისა და სსო-ების ხელისუფლებასთან თანამშრომლობის მაღალი კულტურა; შექმნილია რეგიონის, მუნიციპალიტეტისა და ბიზნეს წრეების საერთაშორისო პარტნიორებთან, თანამშრომლობის მუდმივმოქმედი მექანიზმები. ხდება ინოვაციური იდეების გაზიარება, გენერირება და განხორციელება. იზრდება ეკონომიკა, დასაქმებულთა რიცხოვნება და შემოსავლები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მთავარი მიზნებია:

1. მეურნეობის ტრადიციული მიმართულებების სტიმულირება და განვითარება, ადგილობრივ და გარე ბაზრებზე დამკვიდრება;
2. ბიზნეს წრეების, ხელისუფლებისა და საერთაშორისო პარტნიორების თანამშრომლობის, გამოცდილების გაზიარებისა და ერთობლივი ბიზნეს პროექტების განხორციელების მიღწევა;
3. გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული ზრდის შესაძლებლობების შექმნა.

გეგმით გათვალისწინებული ძირითადი ღონისძიებებია: ყოველწლიური ბიზნეს ფორუმის გამართვა; მუნიციპალიტეტში მიწის ნაკვეთებისა და სხვა უძრავი ქონების შესახებ, ასევე მოქმედ საწარმოთა და ვაკანსიების შესახებ განახლებადი მონაცემთა ბაზის და კატალოგის შექმნა; ადგილობრივი მეწარმეების და მენეჯერების გასვლითი საქმიანო შეხვედრების ორგანიზება, გამოფენებში, სემინარებსა და ბიზნეს ფორუმებში მონაწილეობა, ადგილობრივი პროდუქტების დემონსტრირება და რეკლამირება; საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ჩამოყალიბება; ,,დასაქმების ხელშემწყობი ცენტრის" ჩამოყალიბება და სხვა;

ღონისძიებათა დაფინანსება დაგეგმილია იმ ძირითადი პრინციპის გვალისწინებით, რომ მაქსიმალურად მეტი დონორი და მონაწილე იყოს ჩართული ამ გეგმის განხორციელების პროცესში.

2. შინაარსი

0. მერის მიმართვა ---------- 1
1. მოკლე შეჯამება ---------- 2
2. შინაარსი, ცხრილების და გრაფიკების სია ---------- 3
3. აბრევიატურა ---------- 3
4. გეგმის შესავალი ---------- 4
5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი ---------- 6
6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი
   6.1 ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი ---------- 7
   6.2 ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის აგება ---------- 10
   6.3 ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია -- 11
   6.4 წვდომობა ფინანსებზე ---------- 12
   6.5 მიწა და ინფრასტრუქტურა ---------- 13
   6.6 საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები ---------- 14
   6.7 უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა ---------- 15
   6.8 გარე პოზიციონირება და მარკეტინგი ---------- 16
7. SWOT ანალიზი ----------17
8. ხედვა და მიზნები ---------- 18
9. სამოქმედო გეგმა ---------- 19
10. დაფინანსების სქემა ---------- 20
11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები ---------- 22

დანართი ა, - <u>ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი</u>

3. ცხრილების და გრაფიკების სია და აბრევიატურები

3.1. ცხრილების და გრაფიკების სია

1. ცხრილი #1 - ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მოქალაქეების დასაქმების სტრუქტურა ------- 6
2. გრაფიკი #1 - ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მოქალაქეების დასაქმების სტრუქტურა ------- 7

3.2. შემოკლებები/აბრევიატურა

M4EG - „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“
LEDP - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა;
LED - ადგილობრივი ეკონომიკური განთარება;
SWOT - ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები;
UNDP - გაეროს განვითარების პროგრამა
AYEG - საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია
ა(ა)იპ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
შშმპ (შშმ პირი) - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი
სსო - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია

4. გეგმის შესავალი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი ევროკავშირის ინიციატივას ,,მერები ეკონომიკური ზრდისათვის“ შეუერთდა 2017 წლის 30 სექტემბერს და აიღო ვალდებულებები მემორანდუმით გათვალისწინებული საკითხების შესრულებისათვის.

ზესტაფონი მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს ცენტრალური ნაწილის – იმერეთის შუაგულში, ზღვის დონიდან 90 მეტრიდან (მინიმალური) და 1100 მეტრამდე (მაქსიმალური) სიმაღლის ზონაში; მუნიციპალიტეტის საერთო ფართობია 423.7 კვ.მ.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის ცენტრალური ავტო და სარკინიგზო მაგისტრალი, მუნიციპალიტეტის ცენტრი - ქალაქი ზესტაფონი წარმოადგენს სატრანსპორტო კვანძს და საკმაოდ ეფექტური მდებარეობა აქვს. იგი დედაქალაქიდან – თბილისიდან დაშორებულია 180 კმ–ით, უახლოესი აეროპორტიდან (ქუთაისი) დაშორებულია 55 კმ–ით. უახლოესი პორტიდან (ფოთი) დაშორებულია 150 კმ–ით. იმერეთის რეგიონალურ ცენტრისგან, საქართველოში სიდიდით მესამე ქალაქიდან - ქუთაისიდან დაშორებულია 35 კმ–ით. ზესტაფონი უშუალოდ ესაზღვრება იმერეთის რეგიონის შემდეგ მუნიციპალიტეტებს: ჭიათურა, ხარაგაული, ბაღდადი, თერჯოლა.

მოსახლეობის რაოდენობა 2018 წლის 1 იანვრისათვის შეადგენს 57 628 კაცს. მათ შორის - 28 082 არის მამაკაცი, რაც მთლიანი მოსახლეობის 48.73 %–ს შეადგენს, ხოლო 29 546 არის ქალი, მთლიანი მოსახლეობის 51.27 %–ია. მოსახლეობის 64.55 %, ანუ 37 200 კაცი ცხოვრობს სოფლად, ხოლოდ 35.45 %, ანუ 20 428 კაცი ცხოვრობს ქალაქში.

2018 წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტში შრომისუნარიანი მოსახლეობა შეადგენდა 33 309 კაცს, ანუ მთლიანი მოსახლეობის 57.8 %–ს. მათ შორის ქალი – 15 950, ანუ მთლიანი შრომისუნარიანი მოსახლეობის 47.9 %, ხოლო მამაკაცი 17 359, ანუ მთლიანი შრომისუნარიანი მოქალაქეების 52.1 %. მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების საშუალო ასაკი შეადგენს 70 წელს, აქედან ქალის 75 წელს, მამაკაცის 65 წელს.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 1989 წელთან შედარებით შემცირებულია 16 372 კაცით, რაც იმდროინდელი მოსახლეობის 22.12 %–ს შეადგენს, და რაც გასული საუკუნის 90-იანი წლების სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისების საფუძველზე წარმოქმნილი მიგრაციის პირდაპირი შედეგია; მიგრაცია გარკვეული ზომით ამჟამადაც მიმდინარეობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიგრაციის უდიდესი წილი მოდის საზვარგარეთის ქვეყნებში მიგრაციაზე, რაც შეეხება შიდა მიგრაციას ძირითადად მოიცავს მიგრაციას თბილისში. (თუმცა მიგრაციის ამჟმინდელი დონის ზუსტი შეფასება გაძნელებულია).

ზესტაფონის თვითმმართველობაში კარგად აქვთ გაცნობიერებული, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში ეკონომიკის განვითარება. მეტიც, იგი აღიქმევა, როგორც ერთერთი პრიორიტეტული მიმართულება. ეკონომიკის განვითარება გულისხმობს როგორც ფინანსური, მათ შორის საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას, ასევე სოციალური გამოწვევების შემცირებასა და ცხოვრების საერთო დონის ამაღლებას.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტისათვის ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ წარმოადგენს სერიოზულ ბაზას, რათა არსებითად განავითაროს და უკეთესი გახადოს ადგილობრივი მმართველობის სისტემა, ბიზნეს სექტორთან, სსო-თან და ყველა დაინტერესებულ მხარესთან საქმიანი და პარტნიორული ურთიერთობები.

ამასთან ერთად ადგილობრივი პარტნიორობა, უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ევროკავშირის ინიციატივას, დახმარება გაუწიოს მუნიციპალიტეტს. ევროკავშირის მხრიდან ასეთი ინიციატივები კიდევ უფრო დაახლოვებს საქართველოს ევროპასთან. დაამკვიდრებს საქართველოში ევროპულ ფასეულობებს, ეს უაღრესად მნიშვნელოვანია იმ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის, რომლის ტერიტორიების 20 %–ზე მეტი ოკუპირებულია მეზობელი ქვეყნის მიერ , რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

ჩვენს მიერ შედგენილი ეკონომიკური განვითარების გეგმა (LEDP) შემუშავდა სპეციალურად ინიციატივაში „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ჩართვის მიზნით. აღსანიშნავია, რომ LEDP გეგმა პრინციპულად თანხვედრაშია საქართველოს სოციალურ–ეკონომიკურ განვითარების სტრატეგიასთან – ,,საქართველო 2020“, ასევე უკვე არსებულ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტთან, რომელიც 2017 წელს იქნა შემუშავებული გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) კონტრაქტორი ორგანიზაციის საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის (AYEG) ხელშეწყობით. ასევე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ უკვე შემუშავებული მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პარამეტრებთან.

თავის მხრივ ეკონომიკური განვითარების გეგმა (LEDP), ზემოთ აღნიშნულ დოკემენტებისაგან განსხვავებით, არ არის ყოვლისმომცველი დოკუმენტი და ორიენტირებულია მხოლოდ კერძო მეწარმეობის და მუნიციპალიტეტის ეკონომიკის განვითარებაზე, მოქალაქეების დასაქმებისა და მთიანობაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშემწყობ აქტივობებზე.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის LEDP გეგმა შემუშავდა იმ მოთხოვნების, პრინციპებისა და მიზნების გათვალისწინებით, რომელებიც საფუძვლად ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“. მათგან უმნიშვნელოვანესია ბიზნესის, სამოქალაქო საზოგადოების, საგანმანათლებლო ინსტიტუტების წარმომადგენელთა და მოქალაქეთა სამუშაო პროცესში აქტიური ჩართულობა, რაც არა მარტო გეგმის მომზადების, არამედ მისი განხორციელებისა და მონიტორინგის პერიოდშიც პერმანენტულად გაგრძელდება. ამავე დროს ეს მიმართულება მუნიციპალიტეტისათვის იქნება პრიორიტეტული მისი შემდგომი საქმიანობის პერიოდში.

მუნიციპალიტეტი მთლიანად ეთანხმება ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შინაარსს და მზადაა მისი თანადაფინანსებისათვის, სხვა პარტნიორებთან და დონორებთან ერთად, გეგმით გათვალისწინებული მოცულობის ფარგლებში, ამასთან ეს დაფინანსება გათვალისწინებული იქნება 2019-20120 წლების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, შესაბამისი პროცედურების დაცვით.

5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი წარიმართა ინიციატვის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ მოთხოვნების, რეკომენდაციებისა და მოწოდებული სახელმძღვანელოების შესაბამისად.

ეს პროცესი ეფუძნებოდა ჩართულობის, ურთიერთპატივისცემის, მონაწილეთა თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის, პროფესიულონალიზმისა და არგუმენტაციის პრიორიტეტულობის აღიარებას. ამავე დროს ყველა მონაწილე მაქსიმალურად მიისწრაფვოდა კონსენსუსის მიღწევისათვის და უმეტესი საკითხი ამ პრინციპის საფუძველზე გადაწყდა.

ადგილობრივი პარტნიორობა ჩამოყალიბდა **2017 წლის 5 ნოემბერს;** შეხვედრები იმართებოდა ყოველთვიურად. პარტნიორობაში ჩართული ორგანიზაციებისა და პირების დასახელება იხ–ეთ **დანართში – 1,ა.**

2017 წლის 15 დეკემბერს **ზესტაფონის** მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში გეგმის შემუშავებისათვის შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა ბიზნესის, არასამთავრობო სექტორის (სამოქალაქო საზოგადოება), მერიის და საკრებულოს საჯარო მოხელეების მიერ (შემადგენლობა ო. ჭანკვეტაძე, ბ. ჭიჭინაძე, კოტე შარვაძე და სიმონ /მალხაზ/ ქოჩიაშვილი). სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობდა ადგილობრივი LED ოფიცერი ო. ჭანკვეტაძე. სრულად იხ–ეთ **დანართში – 1,ა.**

- ადგილობრივი პარტნიორობის შეხვედრები (ყოველთვიური შეხვედრები/თვეში ერთხელ მაინც);
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრები (ყოველ ორ კვირაში ერთხელ მაინც); /საჭიროების მიხედვით მეტად/.
- ორჯერ მოეწყო საჯარო შეხვედრები და განხილვები, ინფორმაციები იხ–ეთ დანართში 1,ა.

6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

6.1. ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების დროს (1991 წელი), ზესტაფონის ეკონომიკა, ძირითადად ეყრდნობოდა მრეწველობას და სოფლის მეურნეობას. აღნიშნულ დარგებში იყო დასაქმებული მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა. მას შემდეგ რაც მოიშალა არსებული ეკონომიკური კავშირები, მნიშვნელოვნად შემცირდა, ანაც სრულად შეწყდა პროდუქციის წარმოება ქარხანა–ფაბრიკებში, ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა სოფლის მეურნეობის დარგების ფუნქციონირებაც. შედეგად კრიტიკულად გაიზარდა მუნიციპალიტეტში უმუშევართა რაოდენობა. იმის გამო, რომ იმდროინდელი ცენტრალური ხელისუფლების მიერ ვერ იქნა შემუშავებული სწორი ეკონომიკური მოდელი, მოქალაქეები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ საკუთარი საცხოვრისი და მინიმალური ცხოვრების პირობების შესაქმნელად იძულებულნი იყვნენ წასულიყვნენ ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მოგვიანებით მდგომარეობა რამდენადმე გამოსწორდა, თუმცა დასაქმების პრობლემა დღესაც უპირველეს ადგილზეა.

2018 წლის 1 იანვრისათვის ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მოქმედ კომპანიათა რაოდენობა შეადგენს 2084 ერთეულს. აქედან მცირე საწარმოა 1820 (87.33 %), საშუალო საწარმო 247 (11.85%) მსხვილი საწარმო კი 17 (0.82 %).

ცხრილი #1 საწარმოების კლასიფიკაცია მათი ზომების მიხედვით

კომპანიების რაოდენობა	სულ:	მცირე საწარმო	საშუალო საწარმო	მსხვილი საწარმო
მოქმედი კომპანიები	*2084*	*1820*	*247*	*17*
მრეწველობა	46	0	38	8
სოფლის მეურნეობა	145	0	145	0
საცალო და საბითუმო ვაჭრობა	1550	1517	25	8
მშენებლობა და დეველოპერული ბიზნესი	39	33	5	1
ტრანსპორტი	154	150	4	0
სხვა	150	120	30	0

2018 წლის 1 იანვრისათვის ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მოქალაქეების დასაქმების სტრუქტურას დარგების მიხედვით შემდეგი სახე აქვს.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ამჟამად ყველაზე წარმატებული სექტორი მისი მზარდი ტენდენციიდან გამომდინარე არის მრეწველობის სექტორი, კერძოდ მეტალურგიული მრეწველობ, რომელიც ძირითადად ფეროშენადნობებს აწარმოებს. 2017 წლის მდგომარეობით სულ აღნიშნულ სექტორში წარმოებული პროდუქციის რაოდენობა შეადგენდა 550 მლნ ლარს. ამჟამად მუნიციპალიტეტში ყველაზე მზარდი კომპანიები ამ კუთხით არის შპს ,,ჯორჯიან–მანგანეზი“, შპს ,,ჯი–თი–ემ გრუპი“, შპს ,,მეტალოლომი“, რომელთა ძირითადი პროდუქცია ფეროსილიკომანგანუმია.

გრაფიკი #1 ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მოქალაქეების დასაქმების სტრუქტურა



ამ დარგში მოქმედი კომპანიების უმრავლესობა ძირითადად იყენებს მანგანუმის მადანს, რომელიც მოიპოვება ზესტაფონის მუნიციპალიტეტიდან 30 კმ–ში, მეზობელ მუნიციპალიტეტში ჭიათურაში. აღნიშნულ სფეროში წარმოებული პროდუქცია გადის უცხოეთი ქვეყნებში, კერძოდ: დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, იაპონია, ამერიკის შეერთებული შტატები, თურქეთი, ირანი და სხვა, მაგრამ ამავე დროს უნდა ითქვას, რომ ამ წარმოების შედგომში ზრდის დიდი შესაძლებლობა არა აქვს, საყურადღებოა ასევე ამ საწარმოებთან დაკავშირებული გარემოს დაცვის მიმართულებით არსებული პრობლემებიც.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტისათვის უნიკალურ ადგილობრივ პროდუქტს წარმოადგენს ასევე ადგილობრივი ელექტრო სადენების წარმოება, აღნიშნულ პროდუქციას აწარმოებს სს ,,საქკაბელი", მათ მიერ წარმოებული პროდუქცია წარმატებით იყიდება სომხეთში და აზერბაიჯანში, კომპანიაში აქტიურად მიდის მუშაობა რათა მათი პროდუქცია გაიყიდოს ევროპის ქვეყნებშიც.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ასევე დიდი აგრარული ბაზარი, რომელიც კერძო სამამულო ინვესტიციით არის აშენებული და ის მომსახურებას უწევს არა მარტო მუნიციპალიტეტს მოსახლეობას, არამედ მეზობელი რაიონების და ზესტაფონის ტერიტორიაზე ტრანზიტად მოძრავ მოქალაქეებსაც.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი თავისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე წარმოადგენს სავაჭრო–სადისტრიბუციო კომპანიების დასაყრდენ პუნქტსაც. გამომდინარე იქედან, რომ არასაკმარისად არის განვითარებული სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობა, ამიტომ შექმნილი მდგომარეობა სრულად ვერ პასუხობს ბაზარზე არსებულ მზარდ მოთხოვნებს.

ჩატარებული გამოკითხვებისა და განხილვების შედეგად გამოიკვეთა, ზრდის თვალსაზრისით უფრო პრიორიტეტული მიმართულებები:

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ტრადიციული და უნიკალური პროდუქტია ღვინო, ამ პროდუქტის წარმოებით განსაკუთრებით გამორჩეულია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის შემდეგი სოფლები – ქვედა საზანო, პირველი სვირი, მეორე სვირი, არგვეთა, კვალითი და სხვა.

ასევე კარგადაა ცნობილი ტრადიციული მეთუნეობისა და კერამიკის ნაწარმი (ამ მხრივ განსაკუთრებით ცნობილია სოფელი შროშა).

საჭიროა აღინიშნოს რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად იზრდება მუნიციპალიტეტის დონეზე სასტუმრო ბიზნესის და კვების (მათ შორის სწრაფი კვების) ობიექტების განვითარება. მათ მიერ გაწეული მომსახურეობა ხელმისაწვდომია როგორც ადგილობრივი, ასევე სხვა მუნიციპალიტეტების, ასევე უცხო ქვეყნის წარმომადგენლებისთვისაც. 2018 წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 7 ერთეული სატუმრო, ასევე 15 ერთეული საოჯახო ტიპის სასტუმრო/ჰოსტელი, და ასეულზე მეტი კვების ობიექტი (რესტორნები, კაფე-ბარები, სწრაფი კვება და სხვა).

ასევე გამოვლინდა, ადგილობრივი ბიზნესის საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელისშემშლელი ძირითადი ფაქტორები:

1. საექსპორტო ბაზრების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა და არასაკმარისი ანალიზი;
2. ადგილობრივი პროდუქციის დაბალი ცნობადობა;
3. დასაქმებულთა არასათანადო კვალიფიკაცია;
4. არასათანადოდ განვითარებული კავშირურთიერთობები და შესაბამისი სერვისები;

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ შრომისუნარიანი მოქალაქეების უმრავლესობა დასაქმებულია ზემოთ აღნიშნულ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში, საცალო და საბითუმო სავაჭრო ობიექტებში. ასევე ესთეტიკური მომსახურეობის, ინდ.კერვის, ავტო–ტექ მომსახურეობის, საზ.კვების და მომსახურეობის სხვა სფეროებში.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალურ–ეკონომიკური მიმართულების პროექტების განხორციელება, თუმცა მოქმედი კანონმდებლობის გამო მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები ბიუჯეტის მხოლოდ 35 %–ს შეადგენს, დანარჩენი - 65% კი ცენტრიდან მისაღებ სხვადასხვა სახის ტრანსფერებზე მოდის, შესაბამისად ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისათვის მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო თანხები არ არის საკმარისი.

გამოვლინდა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ნელი ტემპით მიმდინარეობს, ხშირია ახლადგახსნილი საწარმოების მალე დახურვის ფაქტებიც. რაც ხშირად გამოწვეულია დამწყები მეწარმეებს არა სათანადო ცოდნითა და ინფორმირებულობით. არ ხდება კერძო სექტორში დასაქმებული პირების სისტემატური გადამზადება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ვერ ხდება უცხოეთის მაღალგანვითარებული ტექნოლოგიების მუნიციპალიტეტის დონეზე დანერგვა და წარმატებული გამოცდილების გაზიარება; არ ხდება გასაღების ბაზრების ძიება, დაბალია ადგილობრივი და უცხოური კომპანიების თანამშრომლობის ხარისხი, მაშინ როცა მუნიციპალური საწარმოების დონეზე ამის მზაობა არსებობს.

სახელმწიფო და ადგილობრივი ფინანსები არ არის საკმარისი მოხდეს ამ პრობლემების წინააღმდეგ დამოუკიდებლად გამკლავება, გამომდინარე აქედან საჭირო ხდება დაინტერესებულ მხარეთა ერთობლივი ძალისხმევის გამოჩენა არსებული გამოწვევების დასაძლევად.

6.2. ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის აგება

ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მუნიციპალიტეტის დონეზე კერძო სექტორსა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციას შორის ურთიერთობის გაუმჯობესების მიმართულებით. ამის მაგალითია ამ გეგმის მომზადების პროცესიც.

ადგილობრივი თანამშრომლობა ტრადიციულად სექტორალური სფეროების მიხედვით ხორციელდებოდა (მეტალურგიული წარმოებები ერთმანეთთან, ავტოგადამზიდავები და შესაბამისი სერვისის ოპერატორები ერთმანეთთან, ღვინის მწარმოებლები ერთმანეთთან და ა. შ.), თანაც ეს ურთიერთობები არ ატარებდა სისტემურ და მიზანმიმართული ურთიერთობების სახეს და უფრო გარემოებები - სხვადასხვა ტიპის აუცილებლობები ანაც კრიტიკული ვითარებები განაპირობებდა. ასევე აღსანიშნავია, 2013 წლიდან მუნიციპალიტეტებში ჩამოყალიბებული სოფლის მეურნეობის

საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები (სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით) რომლებმაც სისტემური ხასიათის პოზიტიური ცვლილებების განხორციელებას - მათ შორის ფერმერული მეურნეობების დაახლოებას, მათი თანამშრომლების სწავლებას და ასევე კოოპერატივების ჩამოყალიბებას შეუწყვეს ხელი; ამ პროცესმა თავისთავად განაპირობა თანამშრომლობისა და საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება, თუმცა მიგვაჩნია, რომ მდგომარეობა არსებითადაა გასაუმჯობესებელი. გასანვითარებელია მაღალ ხარისხის და ეფექტური ქსელური ურთიერთობები.
აღნიშნულის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია როგორც სხვადასხვა დარგობრივი, ასევე დარგთაშორისი ხასიათის მტკიცე, თანამედროვეობის შესატყვისი (ტექნოლოგიური) და ეფექტური საკომუნიკაციო ქსელის აგება და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა (ხელშეწყობა). ასეთი ქსელის აგება ერთმხრივ ხელს შეუწყობს ჯანსაღი და წარმატებული პარტნიორობის ჩამოყალიბებას, ასევე თანამშრომლობის საჭიროების გააზრებას, ასევე მნიშვნელოვანი ინფორმაციების, საქმიანი წინადადებებისა და ბიზნეს იდეების ბანკის შექმნას, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული მხარისათვის.
ამ მიმართულებით პოზიტიურ მოვლენად აღვიქვამთ, რომ ადგილობრივი პარტნიორობის ფარგლებში გამართული შეხვედრების პროცესში გამოიკვეთა იდეა და პარტნიორთა დიდი ნაწილის უშუალო ჩართულობით შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდის“ დასაფუძნებლად, რომლის ერთერთი მთავარი ფუნქცია, სწორედ საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის განვითარების ხელშეწყობა იქნება.
ამასთან ყველა ამ პროცესში **აუცილებლად იქნება ჩართული მუნიციპალიტეტი, როგორც ერთერთი დაინტერესებული** და წამყანი მხარე, ამასთან ერთად ადგილობრივი თვითმმართველობა ხელს უწყობს საჯარო-კერძო პარტნიორობის (PPP) განვითარებას ზესტაფონის მუნიციპალიტეტში.

6.3 ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისგან თავისუფალი ადმინისტრაცია

ზესტაფონის მერიაში არის მზაობა მაქსიმალურად იყოს დაცული გამჭვირვალეობის, და ღიაობის, კარგი მმართველობის პრინციპი, რომლებიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების პროცესში ჩართულობის მაქსიმალურ გარანტიებს, ხელს უწყობს თვითმმართველობისადმი ნდობის ამაღლებას და მის შენარჩუნებას.
მნიშვნელოვანია, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში რამდენიმე წელია დანერგილია საქმისწარმოების/აღრიცხვის ელექტრონული სერვისები/(ელექტრული საქმისწარმოება), რომელიც ხელს უწყობს დაინტერესებულმა მხარემ ოპერატიულად მიიღოს საჭირო ინფორმაცია, მ. შ. - ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. მოქმედებს მუნიციპალური ვებგვერდი www.zestaphoni.com, ასევე არსებობს საკუთარი ფეისბუქ გვერდი – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია, აღნიშნულ მისამართებზე პროაქტიულად სისტემატურად ქვეყნდება მისაღები თუ მიღებული პროექტების შესახებ შესაბამისი ინფორმაციები, რომლებიც ყველასათვისაა ხელმისაწვდომი,თუმცა ორივე ეს სერვისი შესაძლებელია გაუმჯობესდეს.
ზესტაფონის მუნიციპალიტეტთან შექმნილია და მოქმედებს: **,,სამოქალაქო საბჭო“, ,,გენდერული საბჭო“;** ასევე მერიის უშუალო ჩართულობით ჩამოყალიბების პროცესშია ა(ა)იპ - ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდი“, რომლის დამფუძნებლები და პარტნიორები ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები იქნებიან.
ზესტაფონის მუნიციპალიტეტში გვაქვს ბიუჯეტის საზოგადოებრივი მონიტორინგის პრაქტიკა, თუმცა კარგი იქნება ამ პრაქტიკის რეგულარული დანერგვა.

ჩამოთვლილი სტრუქტურები კარგი ბაზა და მაგალითია მეგობრული, გამჭვირვალე და არა-კორუმპირებული მმართველობისა, ამასთან საჭიროდ მივიჩნევთ ჩამოყალიბდეს **,,ანტიკორუფციული საბჭო“,** შესაძლებელია ეს მოხდეს ამ გეგმის ფარგლებში გათვალისწინებული **,,მონიტორინგის კომიტეტის“** ბაზაზე, ან მის პარალელურად.
ცალკე უნდა აღინიშნოს სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრი, რომელიც ახდენს ფერმერული მეურნეობებისა და მათ ბაზაზე შექმნილი კოოპერატივების ინფორმირებას, კონსულტირებასა, შესაბამისად აგრარულ სფეროში ბოლო 5 წლის გამოცდილებით არსებობს ხელისუფლებისა და მეწარმეთა ურთიერთობისა და ურთიერთნდობის გარკვეული პრაქტიკა, რომელიც პოზიტიურ შედეგებსაც იძლევა, თუმცა საკაოდ ვიწრო ჭრილში. უკეთესი მდგომარეობის მიუხედავად მიგვაჩნია, რომ აგრარულ სფეროშიც არსებობს პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ამაღლების საჭიროება; ნოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ინფორმირების აუცილებლობა; იურიდიული, საგადასახადო და ფინანსური საკითხები, ასევე საკითხები ბაზრის შესწავლის, საექსპორტო შესაძლებლობების შეფასებისა თუ ათვისების თემებზე, რაც ამ მიმართულებით საქმიანობის გაღრმავება-გაფართოებას და განახლებას საჭიროებს.

6.4. წვდომა ფინანსებზე

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს რამდენიმე ძირითადი ბანკის ფილიალი და ათამდე მიკროსაფინანსო ინსტიტუტი, რომლებიც ბიზნესსა და კერძო მეწარმეებს სხვადასხვა ტიპის საბანკო პროდუქტს თავაზობენ, მათ შორის როგორც არსებული ბიზნეს საქმიანობის გასაფართოებლად, ასევე ახალი ბიზნესის დასაწყებად. მიუხედავად ამისა, ერთ–ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის წინაშეც არიან კერძო სექტორის წარმომადგენლები, რასაც ისინი მუდმივად აღნიშნავენ, არის ფინანსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა, რაც ძირითადად გამოწვეულია საბანკო სერვისებზე **მაღალი პროცენტებით, (ამასთან თითქმის არაა საშეღავათო პერიოდი)** , საბოლოოდ კი მათ მიერ მიწოდებული მომსახურეობა სათანადოდ ვერ უწყობს ხელს ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას.
ბანკების ალტერნატივად, შეიძლება ცალკეულ შემთხვევებში, ადგილობრივი მეწარმეები სარგებლობენ სახელმწიფოს მიერ წარმოებული სხვადასხვა სახის პროექტებით, რომლებიც ხელმისაწვდომს ხდის ფინანსებს, ეს პროექტებია: ,,აწარმოე საქართველოში“, ,,დანერგე საქართველოში“ და სხვა, თუმცა ხელმისაწვდომობა ამ რესურსებზეც შეზღუდულია.
არსებობს შესაძლებლობა სხვადასხვა საერთაშორისო დონორებისაგან სესხებისა და გრანტების მიღებისა, თუმცა ეს მიმართულება არც თუ ბევრი მეწარმისათვისაა ცნობილი და გამოყენებული.
სხვა ალტერნატიული წყაროების მოძიება კი მეწარმე–სუბიექტებს უჭირთ.
ამ დროს დამატებითი შესაძლებლობა იქნებოდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტი, მაგრამ არასაკმარისი რესურსებისა და გაუმართავი კანონმდებლობის გამო, როგორც წესი ის ვერ თავაზობს კერძო სექტორს ალტერნატიულ შესაძლებლობებს.
ამ მდგომარეობიდან გამომდინარე, შეიძლება განხორციელდეს მეწარმეებსა და დაინტერესებულ პირებზე კონსოლიდირებული ინფორმაციის მიწოდება, - საბანკო და მიკროსაფინანსო ინსტიტუტების პროდუქტებისა და სხვადასხვა შეღავათების, ეროვნული დონეზე საწარმოს მხარდამჭერი პროგრამების და საერთაშორისო დაფინანსების მექანიზმების /სხვადასხვა ტიპის გრანტების მოძიება/ის ინსტრუმენტები/) შესახებ, ასევე გაეწიოს მომსახურება მათი მიღების პროცესში.

მეტი ეფექტურობისათვის კი შესაძლებელია შეიქმნას საერთაშორისო დონორებისა და პოტენციური ინვესტორების მონაცემთა ბაზა, მათთან ურთიერთობების აგებისა და წარმართვის მექნიზმები/ინსტრუმენტები შესაბამისი კადრებითა და სხვა რესურსებით.

ასევე შეიძლებოდა, გვეფიქრა გარკვეული ქმედებების განხორციელებაზე მუნიციპალიტეტის მხრიდან ამ მიმართულებით (მაგ-ად: კონკურსის საფუძველზე ყოველწლიურად, მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გეგმის შესაბამისი, 3-5 ინოვაციური და ეფექტური ბიზნეს-პროექტისათვის მხარდაჭერის შესახებ. ამ სქემაში მომავალში შესაძლებელია ჩაერთოს - ა(ა)იპ ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდი". ასევე მუნიციპალიტეტს შეუძლია ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც შექმნიან წინაპირობებს (საინვესტიციო და სხვა ტიპის მიმზიდველობა), რომელიც ფინანსური რესურსების ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მოზიდვას შეუწყობს ხელს.

6.5. მიწა და ინფრასტრუქტურა

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი ქალაქის ჩათვლით მოიცავს 19 ადმინისტრაციულ ერთეულს.

მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების და ინვესტიციების მოზიდვის ერთ–ერთ შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს მიწათსარგებლობის და განაშენიანების გენერალური გეგმის არ არსებობა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე არსებული ქონების მიზნობრივად, ინვესტიციების მოსაზიდად და სამუშაო ადგილების შექმნის მიმართულებით შედგენილი გეგმები.

იმ შემთხვევაში თუ შედგენილ იქნება მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის და განაშენიანების გენერალური გეგმა, ეს მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ინვესტორების დაინტერესებას და ქალაქის თანაბარ ურბანულ განვითარებას.

ამჟამად **ქალაქი ზესტაფონი** ფაქტიურად უზრუნველყოფილია კომუნალური ინფრასტრუქტურით. კერძოდ: ელექტოფიცირება 100%, გაზიფიცირება 98 %, პრობლემაა სასმელი წყლით მომსახურეობაში 70%, ინტერნეტის წვდომა შეადგენს 65%–ს.

მუნიციპალიტეტის სოფლების 60%-ში მოქმედებს ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემები, გაზიფიცირებულია 70%-მდე მოსახლეობა. მიმდინარეობს ადგილობრივი გზების შეკეთების სამუშაოები.

თუმცა მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, მათ შორის როგორც ქალა ზესტაფონში, ასევე სოფლებში.

გეგმის შემუშავების პროცესში გამოიკვეთა **,,საინვესტიციო კატალოგის"** შექმნის იდეა, რომელშიც სრულად აღირიცხება მიწის ნაკვეთები და უძრავი ქონება, რომლებიც სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია და შესაძლებელია მათი საინვესტიციო მიზნებისათვის გამოყენება. ამავე კატალოგში მითითებული იქნება მიწისა და უძრავი ქონების მნიშვნელოვანი პარამეტრებიც.

სასურველია თითეული მიწის ნაკვეთისა და უძრავი ქონებას მიებას საინვესტიციო მიმზიდველობს მქონე გარკვეული წინადადებები /სხვადასხვა ტიპის შეღავათები, დაბალი ფასები და ა. შ.), ამავე დროს საჭირო იქნება მუნიციპალიტეტის ინიციატივა სახელმწიფოს წინაშე (ეკონომიკის სამინისტრო) რათა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწისა და უძრავი ქონების ნაწილი, საჭიროების შემთხვევაში გამარტივებული წესით გაიცეს ინვესტორზე - იჯარის წესით ან საკუთრებაში გარკვეული პირობებით.

6.6. საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები

საქართველოში საკმაოდ კარგი პირობებია ბიზნესის დასაწყებად, რეგისტრაციის პროცედურები საკმაოდ გამარტივებულია, და ამისათვის ერთი დღეც საკამრისია.
მეორე მხრივ ბიზნეს ოპერატორებზე არც საგადასახადო წნეხია დიდი, რაც დამატებითი პოზიტიური პირობაა, კერძოდ არსებობს 6 გადასახადი (საშემოსავლო, მოგების, დღგ, აქციზი, იმპორტისა და ქონების), რომელთაგან მხოლოდ ქონების გადასახადი ირიცხება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. ამ გადასახადის განაკვეთის განსაზღვრა, სათანადო პირობების დაცვით, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი/არჩევითი ორგანოს - საკრებულოს მიერ ხდება და არის შესაძლებლობა ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობისა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით გარკვეული შეღავათების დაწესებისა. ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსაკრებლების საკითხი, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში დღეისათვის მოქმედებს შემდეგი მოსაკრებლები: რეკლამის განთავსების, სათამაშო ბიზნესის, მშენებლობის ნებართვის და დასუფთავების. ბუნებრივია ამ მოსაკრებლების შემცირებაც განვიხილოთ ერთ–ერთ მამოტივირებელ ფაქტორად. მუნიციპალიტეტის მერია მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში მაქსიმალურად ცდილობს ადგილობრივი მეწარმე–სუბიექტების პირობების გასაუმჯობესებლად, დააწესოს გარკვეულის სახის შეღავათები ადგილობრივი ქონების გადასახადის და მოსაკრებლების გადახდის მიმართულებით.
თუმცა ასევე საყურადღებოა, რომ გამართული შეხვედრების დროს ბიზნესმენთა/მეწარმეთა მხრიდან უფრო მეტი ყურადღება დაეთმო სხვადასხვა რეგულაციების გამარტივების /უფლებების მოპოვების შესახებ/ და სხვა ადმინისტრაციული ბარიერების შემცირების საჭიროებას, შედარებით ხშირად დასახელდა მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო პროცედურების, ასევე სახ. საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწა, შენობა-ნაგებობა) საკუთრებაში ან იჯარის წესით აღების სირთულე და ხანგრძლივობა.
ასევე აღინიშნა, რომ ზოგიერთი მეწარმე ნაკლებად იცავს აუცილებელ ნორმებისა და სხვადასხვა სრულიად აუცილებელ შეზღუდვებს, რაც აუარესებს როგორც პროდუქციის/მომსახურების ხარისხს, ასევე აკნინებს/დარტყმას აყენეს კეთილსინდისიერ მეწარმეთა და ზოგადად ბიზნესის პრესტიჟს. ამ მიმართულებით კარგი იქნება თუ წარმატებული და კეთილსინდისიერი მეწარმეები დამატებით წახალისდებიან. **(გამოიკვეთა წინადადება, რომ შეიქმნას ცალკეული დარგების/სფეროების მიხედვით საუკეთესო „ბრენდების“/„ფირმები“/„პროდუქტების“ გამოვლენის/დასახელებისა და წახალისების სისტემა).**

6.7. უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში, არასწორი ეკონომიკური მიდგომების შედეგად რესპუბლიკაში და მათ შორის ზესტაფონშიც მოიშალა არსებული პროფსასწავლებლების ქსელი, სწორედ ამ პროფსასწავლებლებში ხდებოდა ადგილობრივი ეკონომიკის სექტორში დასაქმებული პირების დიდი ნაწილის მომზადება.
ამჟამად **არსებობს მხოლოდ ერთი პროფესიული სასწავლებელი,** სადაც დაწესებული ფასიანი სწავლების გამო ახალგაზრდები ვერ ახერხებენ სასურველი პროფესიის დაუფლებას.
ამასთან ერთად, ამჟამად ზესტაფონის მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს არცერთი უმაღლესი სასწავლებლის ფილიალი. უახლოესი უმაღლესი სასწავლებლები განთავსებულია ქალაქ ქუთაისში (მანილი 35კმ). ეს კი სოციალურად დაუცველი და შშმპ -თვის სერიოზული პრობლემაა, რაც საჭიროებს გარკვეულ რეაგირებას.

ჩატარებული შეხვედრების დროს (ამჟამინდელ/პოტენციურ დამსაქმებლებთან, სკოლების, პროფესიული და უმაღ. სასწ-ების წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, ახალგაზრდებთან და დასაქმების სხვა მსურველებთან) გამოვლინდა რომ მუნიციპალიტეტსი
(ასეა სხვა მუნიციპალიტეტებშიც) სიმრავლე დაუსაქმებელი პირებისა, რომლებიც შეიძლება ორ მსხვილ ჯგუფად დავყოთ;
- დაბალი-კვალიფიკაციის მუშა-ხელი;
- ცალკეული სპეციალობების მქონე დაუსაქმებელი პირები; (მ.შ. - პედაგოგები, სხვადასხვა სპეციალიზაციის მქონე ინჟინრები და ექიმები, (უფრო საშუალო და შედარებით მაღალი ასაკის პირებს შორის), ასევე ეკონომისტები და ბიზნეს-ადმინისტრირების (ან ანალოგიური) სპეციალობის მქონე პირთა სიჭარბე (ახალგაზრდებს შორის);
მეორე მხრივ გვაქვს მოთხოვნა:
- კონკრეტული სპეციალიზაციისა და უნარ-ჩვევების მქონე პროფესიონალებზე, თუმცა ერთგავაროვანი (მსხვილი ჯგუფების) გამოყოფა ჭირს; **ასეთი მდგომარეობა გვაყენებს - პროფესიული გადამზადების და საჭირო უნარ-ჩვევების** განვითარების ცენტრის ან სხვა მექანიზმის **შექმნის აუცილებლობის წინაშე.**
შედარებით მაღალ მოთხოვნადია შემდეგ სპეციალიზაციისა და სპეციალობების მქონე კადრები: ბუღალტრები (ბუღალტრული ელექტრული პროგრამების ცოდნით); უცხო ენების /პირველესად ინგლისური, ასევე რუსული, თურქული/ მცოდნე ოფის მენეჯერები და ადმინისტრატორები; მაღალი კვალიფიკაციის ინჟინერ-ელექტრიკოსები და მექანიკოსები; მაღალი კვალიფიკაციის ელმონტიორები, ელზეინკლები და ზეინკლები. მაღალი კვალიფიკაციის სამშენებლო-სამონტაჟო და შემკეთებელი სამუშაოების შემსრულებელ მუშა-ხელი; აგრონომები, აგროინჟინრები და მექანიზატორები; მაღალი კვალიფიკაციის **მეღვინეები;** ზოოვეტერინარები;
განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ აგროსამრეწველო სფეროს წარმომადგენლები აქცენტს აკეთებენ ახალი ტექნოლოგიების, ინოვაციური მიმართულებების/ტენდენციებისა და სტანდარტების დანერგვის მიმართულებით კადრების საჭიროებაზე.
საკითხის სიმწვავიდან გამომდინარე პერსპექტივაში საჭიროა ადგილობრივ დონეზე განხორციელდეს:

1. სოციალურად დაუცველი და შშმპ -თვის პროფესიული სწავლებისა და გადამზადების ხელშემწყობი სისტემა;
2. პროფესიული სწავლებისა და გადამზადების ეფექტური მექნიზმის შექმნა;
3. ადგილობრივ დამსაქმებელთა შეთავაზებების და მოთხოვნების, ასევე დასაქმების მსურველთა და მათი შესაძლებლობათა პერიოდულ აღრიცხვა და განახლება;
4. დამსაქმებელთა და სამსახურის მაძიებელთა პერიოდულ შეხვედრები და კონტაქტები;

6.8. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მდებარეობს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ (ბაქო–ბათუმი) სატრანსპორტო დერეფანზე, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის მუნიციპალიტეტს. ფოთის პორტთან და ქუთაისის აეროპორტთან სიახლოვე ხელსაყრელ პირობებს ქმნის ადგილობრივი საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების მიმართულებით.
მნისვნელოვანია, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ **უცხოეთის** სხვადასხვა მუნიციპალიტეტებთან: კირიათ ბიალიკის მუნიციპალიტეტთან (ისრაელი); ტჩევის მუნიციპალიტეტი (პოლონეთი); ტაურაგეს მუნიციპალიტეტი (ლიტვა). გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში მუნიციპალიტეტის დონეზე უკვე განხორციელდა მრავალი აქტივობა, დაგეგმილია ასევე სხვა მნიშვნელოვანი პროექტების რეალიზება, რომლებიც დადებითად აისახება მუნიციპალიტეტის სოციალურ–ეკონომიკურ მდგომარეობაზე.
ჩატარებული გამოკითხვებისა და შეხვედრებზე გამართული მსჯელობების საფუძველზე გამოიკვეთა საჭიროება, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის განვითარების ძირითადი მიმართულებები ეფუძნებოდეს ტრადიციული მეურნეობისა და კულტურული ფასეულობების

მთლიანობას. შესაბამისად, გეგმის მთავარი სამიზნე სფერო უნდა იყოს: **მეღვინეობა; მეთუნეობა და კერამიკა; კულინარია/გასტრონომია და კვების სავაჭრო ობიექტები (რესტორნები, კაფეები და სხვა).**

ხაზი გაესვა, რომ ზესტაფონი გამორჩეულია არა მარტო თავისი სამრეწველო საწარმოების სიდიდითა და ეფექტურობით, არამედ თავისი კულტურული ტრადიციებითა და მიღწევებით (კონკრეტული ფაქტები: მუსიკა, სასიმღერო კულტურა; თეატრალური ტრადიციები და მსახიობები; ყოველწლიური ფესტივალი ,,სულიკო" და სხვა. შესაბამისად გამოიკვეთა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საიმიჯო ფაქტორები და მიმართულებები/თემები: იმერული კოლორიტი და მელოდია (ფესტივალი ,,სულიკო");
- სტუმარ-მასპინძლობის ტრადიცია და კულტურა; ქვევრის ღვინო და იმერული ყურძნის ჯიშები, ციცქა, ცოლიკაური და ოცხანურის საფერე; ქართული და კერძოდ იმერული სამზარეულო; შროშის თიხა და კერამიკული ნაკეთობები; თეატრალური ტრადიცია და კულტურული ცხოვრება; ისტორიული ძეგლები (შოროპნის ციხე და სხვა);

ზესტაფონის მუნიციპალიტეტს დიდი პოტენციალი აქვს უნიკალური იმერული (ზესტაფონური) ღვინოებით გაითქვას სახელი. ამისათვის პირველ ეტაპზე შესაძლებელი იქნება დაძმობილებულ ქალაქებში (შესაბამის ქვეყნებში) განვახორციელოთ აქტიური მოსამზადებელი და მარკეტინგული სამუშაოები, გავმართოთ და თვითონ მივიღოთ მონაწილეობა გამოფენებსა და სხვა საჩვენებელ ღონისძიებებში (ასეთი ღონისძიებების ერთი ნაწილი შეიძლება დავამთხვიოთ ტრადიციულ ,,ვარინკობას"/,,სულიკობას" /გაზაფხულზე/მაისში) და/ან ზესტაფონის ტრადიციულ ღონისძიებებს - ,,ზესტაფონლობა" (შემოდგომაზე/ოქტომბერში).

სასარგებლო იქნება თუ ზემოთ აღნიშნულ საზეიმო დღეებში (შეიძლება ცალკეც) სტუმრებისათვის, პოტენციური ინვესტორებისა და დაინტერესებული მეწარმეებისათვის ჩატარდება **ბიზნეს-ფორუმი,** გაიმართება საქმიანი ბიზნეს - შეხვედრები და მოეწყობა სხვადასხვა ბიზნეს პროექტების პრეზენტაცია. ასევე ჩატარდება კონკურსები საუკეთესო ადგილობრივი ნაწარმის გამოვლენისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სახელის/გერბის ტარების **(,,ბრენდირებისათვის")** უფლებით.

ზემოთ აღნიშნული აქტივობები ხელს შეუწყობს ქალაქის ცნობადობის ამაღლებას, რაც თავისმხრივ ტურისტების რაოდენობასაც მნიშვნელოვნად გაზედის, ეს კი მთლიანობაში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის კონკურენტუნარიანობის ზრდის საწინდარი გახდება. მეორე მხრივ კი ხელი უნდა შევუწყოთ **ზესტაფონის, როგორც იმერეთის რეგიონის ერთერთი მთავარი, ხოლო ზემო იმერეთის ძირითადი ეკონომიკური და კულტურიული ცენტრის (,,ჰაბი") იმიჯის დამკვიდრებას.**

7. SWOT ანალიზი-ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
- იმერეთის ერთერთი ყველაზე კოლორიტული, თვითმყოფადი და ცნობადი მუნიციპალიტეტი; - მოსახერხებელი გეოგრაფიული მდებარეობა /საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალები, აეროპორტი/; - მევენახეობისა და მეღვინეობის ტრადიციები და ძლიერი კერა, ღვინის ერთერთი ძირითადი მწარმოებელი, ამ პროცესში ჩართული, გამოცდილი კადრების საკმარისი რაოდენობა; - მეთუნეობისა და კერამიკული წარმოების ტრადიციები, ხალხური რეწვის კერების	- დეცენტრალიზაციის არასაკმარისი დონე; მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო რესურსების შეზღუდულობა, საკუთარი შემოსავლების სიმცირე; - უცხოეთის დამეგობრებულ ქალაქებთან და სხვა პარტნიორებთან საქმიანი კომუნიკაციის დაბალი დონე, საგარეო ბაზარეზე პოზიციონირების არ არსებობა; - არსებული ბიზნესების უდიდესი უმრავლესობა მცირე ბიზნესია, ანუ არასაკმარისია მათი ფინანსური

სიმრავლე და საწარმოო პროცესში ჩართული, გამოცდილი პირების დიდი რიცხვი;
- იმერული და კერძოდ ზესტაფონის სამზარეულოს/კულინარიის ტრადიციები და გამოცდილი კადრების არსებობა;
- არსებობს საკმარისი რაოდენობის წარმატებული ბიზნესი, უპირატესად მცირე ბიზნესი, და ასევე დადებითი პოზიტიური იმიჯი საქართველოს მასშტაბით;
- თითეული ბიზნესი დამკვიდრებულია შიდა ბაზარზე და აქვთ გარე ბაზარზე გასვლის წარმატებული შემთხვევები;
- ბიზნესის განვითარებისთვის საკმარისი შიდა რესურსები (ნედლეული, მასალები, ადამიანური რესურსი და სხვა /გარდა ფინანსურისა/);
- მუნიციპალიტეტის ხელისუფლების, ბიზნესის და სსო თანამშრომლობის გამოცდილება და მზარდი ტენდენცია; საზოგადოების ჩართულობის კარგი დონე ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტისას.
- გამჭვირვალე, გამარტივებული პროცედურები, და მინიმალური ბიუროკრატიული ბარიერები;
- მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის /ძირითადად საგზაო/ დამაკმაყოფილებელი /კარგი/ მდგომარეობა;
მდგრადობა და რესურსები;
- არასაკმარისია მენეჯმენტის თეორიული ცოდნა და კვალიფიკაცია, ასევე მაღალპროფესიული და თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი კადრების რიცხვი;
- დაბალია თანამედროვე ტექნოლოგიების (დარგების მიხედვით) და ელექტრონული რესურსების ათვისების/დანერგვის დონე;
- ფრაგმენტულია ერთგვაროვანი ბიზნესების თანამშრომლობის ხარისხი და ერთობლივი საგარეო ბიზნეს-პოლიტიკის განხორციელების შემთხვევები;
- მაღალი საპროცენტო განაკვეთები და ინვესტიციების დაბალი დონე / ფინანსების არასაკმარისი ხელმისაწვდომობა;
- მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის ცალკეული, სხვადასხვა ტიპის ხარვეზები;
 -შშმპ-თვის არადაპტირებული გარემო;
- მუნიციპალიტეტში ტურისტული სექტორის არასაკმარისი განვითარება /არსებული რესურსების მიუხედავად/;
- ბიზნესის დაზღვევის დანერგვისა და შესაბამისი ცოდნის დაბალი დონე;
- ადგილობრივი პროდუქციის და მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობა.

შესაძლებლობები

- საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ ბიზნესის, მათ შორის მცირე და საშუალო მეწარმეობის, განვითარებისთვის პროგრამების და პროექტების მხარდაჭერა;
- ქვეყნის მასშტაბით ხელმისაწვდომი სახელმწიფო შეღავათიანი კრედიტები და თანადაფინანსების პროექტები მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის;
- უცხოეთის დამეგობრებულ ქალაქებთან ერთად ერთობლივი ბიზნეს პროექტების მომზადება და რეალიზება, ამავე ქვეყნებში სხვა პარტნიორების მოძიების შესაძლებლობა;
- მუნიციპალიტეტის ცნობადის გაზრდა მეზობელ ქვეყნებსა და ევროპაში;
- რეგიონში და მუნიციპალიტეტში ტურისტული ნაკადების ზრდის ტენდენცია;

საფრთხეები

- კლიმატის ცვლილების, ბუნებრივი კატასტროფების და სტიქიური მოვლენების შესაძლებლობა;
- ნიადაგის გამოფიტვა, ეპიდემიებისა და მავნებლების გავრცელება სოფლის მეურნეობაში;
- გარემოს დაბინძურების რისკები;
- რთული გეოპოლიტიკური გარემო, ეკონომიკური და პოლიტიკური რყევები და არაპროგნოზირებადი ცვლილებები;
- მიგრაციული პროცესების ზრდა და მოსახლეობის რაოდენობის, მათ შორის კვალიფიციური კადრების, შემცირება;
-სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის ყოველწლიური სუბსიდიის შემცირება, ასევე პირდაპირი

- ბიზნესის სფეროში დასაქმებული პირების გადამზადება და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება/ -ის ხელშეწყობა;
- ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობა ინვესტიციებისა და გასაღების ბაზრების მოძიების საქმეში;
- მეწარმეებისთვის შეღავათების დაწესება;
- ბიზნესის ხელშწყობის მიმართულებით მიზნობრივი მუნიციპალური პროგრამის თანადაფინასება/განხორციელება;
- ტექნოლოგიური სიახლეების მიღებისა და ელექტრული საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა;
- ხელმისაწვდომი ადამიანური რესურსი;

შემოსავლების შემცირება;
- სოციალურ-პოლიტიკური ფონისა და კრიმინოგენური მდგომარეობის გაუარესება;
- საზოგადოებაში, მათ შორის ბიზნეს წრეებში (გარკვეულ ნაწილში) არსებული უნდობლობა და ნიჰილიზმი;
- ინფლაციის დონის ზრდა;
- ქვეყანაში ინვესტიციების შემცირება.

SWOT ანალიზის თანმხლები ტექსტი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობა საავტომობილო და სარკინიგზო /სატრანსპორტო/ მაგისტრალებთან და აეროპორტთან სიხლოვე, ასევე მეტალურგიული საწარმოების საკმარისად განვითარება და სს ,,კაბელების ქარხნის'' წარმატება, ამ საწარმოების საქმიანი რეპუტაციისა და ურთიერთობების გათვალისწინებით, კარგი წინაპირობაა ზესტაფონში ბიზნეს ფორუმებისა თუ საქმიანი შეხვედრების რეგულარულად ჩატარებისათვის. მეტიც ზესტაფონი უნდა გადაიქცეს ასეთი შეხვედრების ერთერთ ცენტრად ,,ჰაბად" რეგიონში (ქუთაისთან ერთად), სადაც შესაძლებელი იქნება როგორც ზემო იმერეთის, ასევე მთლიანად რეგიონის მეწარმეთა (ბიზნესმენთა) უშუალო საქმიანი შეხვედრების გამართვა, ერთმანეთის გაცნობა-დაახლოება, გამოცდილებათა გაზიარება და განვრცობა, ასევე მათი შეხვედრების ორგანიზება მეზობელი და სხვა ქვეყნების ბიზნესმენებთან, საერთაშორისო დონორებთან და ინვესტორებთან;

აქვე მნიშვნელოვანია ახალი ბიზნეს-მიმართულებების ათვისების საკითხი; მაგალითად მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბოლო წლებში სწრაფად ვითარდება ტურიზმი, ზესტაფონსა და მის მეზობელ მუნიციპალიტეტებში, მიუხედავად არსებული ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული ძეგლების სიმრავლისა, არც თუ დიდი წინსვლაა. ცხადია ჩვენ არ უნდა დავტოვოთ ეს სეგმენტი უყურადღებოდ და ზემო იმერეთის სპეციფიკისა და რესურსების გათვალისწინებით ერთობლივად უნდა მოვამზადოთ ნიადაგი ამ მიმართულებით სერიოზული წინსვლისათვის.

უნდა ავღნიშნოთ, რომ მსხვილი სამრეწველო საწარმოების განვითარება ზესტაფონისათვის შეიძლება კვლავ დარჩეს სერიოზულ ფაქტორად. ამავე დროს, პარტნიორობის ფარგლებში გამართული მსჯელობების საფუძველზე გამოიკვეთა იდეა, რომ მუნიციპალიტეტის ეკონომიკის განვითარება უპირატესად უნდა დაეფუძნოს ტრადიციული მეურნეობისა და კულტურული ფასეულობების მთლიანობას. სწორედ ამ მსჯელობებისა და დასკვნებისა საფუძველზე გამოიკვეთა საქმიანობის სამი პრიორიტეტული მიმართულება; მევენეხეობა-მეღვინეობა; მეთუნეობა და კერამიკა; კულინარია და კვების მომსახურეობა.

სამივე მიმართულებით განვითრების ყველა ძირითადი კომპონენტი სახეზე გვაქვს: ბუნებრივი გარემო და კლიმატური პირობები, ტრადიციული და უაღრესად ცნობილი ყურძნის ჯიშები და ყველა სხვა ნედლეული, კვალიფიცირებული, გამოცდილი კადრები ან უბრალოდ დაინტერესებული და მოტივირებული ადამიანები/სპეციალისტები და მუშახელი, საბაზრო ტენდენციები და სტიმულები, ზრდისა და განვითარების მეტი შესაძლებლობა, ასევე ჩართულობისა და თანამშრომლობის მეტი არეალი/სივრცე.

აღნიშნული მიზნების წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელი იქნება შიდა და გარე შესაძლებლობებისა და რესურსების მაქსიმალური მობილიზება და გამოყენება, მათ შორს:

- მუნიციპალიტეტის შეზღუდული ფინანსური რესურსების ნაწილის მიმართვა მოცემული გეგმის განხორციელებისათვის;
- ზესტაფონის დაძმობილებულ ქალაქებთან/მუნიციპალიტეტებთან საქმიანი და პერსპექტივაზე გათვლილი ურთიერთობების აგება;
- ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობა ფინანსური რესურსების მოძიების საქმეში;
- მხარდაჭერა მაღალი დონის მენეჯერებისა და სპეციალისტების გადამზადების საქმეში;
- თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებისა და ელექტრონული მომსახურების დანერგვაში ხელშეწყობა;
- საქმიანი ურთიერთობების განვითარების, შიდა და გარე ბაზარზე დამკვიდრების ღონისძიებების განხორციელებაში ხელშეწყობა;

ყოველივე ზემოთ აღნიშნული უნდა გახდეს წინაპირობა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ზესტაფონის მუნიციპალიტეტი იქცეს ზემო იმერეთის ეკონომიკური და ბიზნეს განვითარების ,,ჰაბად“, სადაც რეგულარულად იმართება ბიზნეს-ფორუმები, ტარდება საქმიანი შეხვედრების და იდება კონკრეტული გარიგებები. ხდება ცოდნის, იდეების, გამოცდილებისა და წარმატებების გაზიარება, გავრცელება და გაფართოება; ვითარდება ეკონომიკა, იზრდება დასაქმებულთა რიცხვი და შემოსავლები.

8. ხედვა და მიზნები

პარტნიორობის ყველა მონაწილის აქტიური ჩართულობით მიღებული მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხედვა და სტრატეგიული მიზნები, რომელიც ჩამოყალიბდა ჩემდეგნაირად:

ხედვა:

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი - ზემო იმერეთის სამრეწველო, სავაჭრო, კომერციული და **კულტურული ცენტრია** (,,ჰაბია“), განვითარებული სამრეწველო წარმოებით და მრავალფეროვნებით გამორჩეული ტრადიციული მეღვინეობისა და მეთუნეობის/კერამიკის დარგებით, კულინარიის/გასტრონომიისა და კვების ობიექტების სიუხვითა და მომსახურების მაღალი ხარისხით. სადაც ჩამოყალიბებულია ბიზნესისა და სსო-ების ხელისუფლებასთან თანამშრომლობის მაღალი კულტურა; შექმნილია რეგიონის, მუნიციპალიტეტისა და ბიზნეს წრეების საერთაშორისო პარტნიორებთან, თანამშრომლობის მუდმივმოქმედი მექანიზმები. ხდება ინოვაციური იდეების გაზიარება, გენერირება და განხორციელება. იზრდება ეკონომიკა, დასაქმებულთა რიცხოვნება და შემოსავლები, რაც განაპირობებს ცხოვრების ხარისხისა და დონის ამაღლებას. ხორციელდება არსებული რესურსების რაციონალური და ეფექტური გამოყენება და მიიღწევა მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარება. ყალიბდება ტრადიცია ერთობლივი და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებისა და ასევე მათი შესრულების მონიტორინგის განხორციელების ეფექტური სისტემა. საზოგადოებაში ამაღლებულია ხელისუფლებისა და ბიზნესისადმი ნდობის ხარისხი. უზრუნველყოფილია ყველასათვის თანაბარი განვითარების შესაძლებლობები, მიმზიდველია საცხოვრებლად, სამუშაოდ და ბიზნესის კეთებისათვის.

მთავარი მიზნები:

1. მეურნეობის ტრადიციული მიმართულებების სტიმულირება და განვითარება, ადგილობრივ და გარე ბაზრებზე დამკვიდრება;
2. ბიზნეს წრეების, ხელისუფლებისა და საერთაშორისო პარტნიორების თანამშრომლობის, გამოცდილების გაზიარებისა და ერთობლივი ბიზნეს პროექტების განხორციელების მიღწევა;
3. ადამიანური შესაძლებლობების ზრდა და უნარების განვითარება - გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული ზრდის შესაძლებლობების შექმნა.

9. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების პროგრამის სამოქმედო გეგმა

თემატური ბლოკები	*მთავარი მიზნები*	*ქმედებები პროექტის იდეები*	*ხანგრძლივობა (დაწყება - დასრულება)*	*მონაწილე პარტნიორები*	*საორიენტაციო ღირებულება ეროვნულ ვალუტაში (ექვივალენტი ევროში)*	*მონიტორინგის მაჩვენებლები / მყისიერი შედეგების ინდიკატორები (Output (Product) indicators and targets)*	*შედეგები / საბოლოო შედეგების ინდიკატორები (Outcome (Result) Indicators and targets)*
ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელი; გარე პოზიციონირება და მარკეტინგი; ბიზნეს-მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის და ბიზნეს სექტორის ცნობადობის გაზრდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, საუკეთესო პროდუქტების შეთავაზება და პოპულარიზაცია; საკომუნიკაციო სისტემის არსებობა	1. ცნობადობისა და კომუნიკაციის განვითარება 1.1 ვებ-საიტის შექმნა; 1.2 საინფორმაციო-საიმიჯო კლიპის შექმნა	12.01.2019 - 30.04.2019 12.01.2019 - 27.09.2019	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო, ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები; საგანმანათლებლო, აკადემიური წრეებისა და ექსპერტთა წრის წარმომადგენლები; ასევე სხვა პარტნიორები, დაინტერესებული პირები, მოსახლეობა	**სულ:** **15 000 ლარი** **(5 000 ევრო)** მათ შორის: 1.1 9 000 ლარი (3 000 ევრო) 1.2 6 000 ლარი (2 000 ევრო)	**მყისიერი შედეგი:** 1) მოხდა ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორების, ინვესტორებისა და დონორებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება; 2) მოხდა საკომუნიკაციო სისტემის შექმნა; **მონიტორინგის მაჩვენებლები:** 1) ვებ-საიტზე განთავსებული ინფორმაციის მოცულობა; 2) კლიპის ხანგრძლივობა	**საბოლოო შედეგი:** 1) გაზრდილია ცნობადობა და ინფორმირებულობის დონე; 2) გაზრდილია მოტივაცია და აქტიურობა; 3) ურთიერთობების წარმატებული აგება და განვითარება **საბოლოო შედეგის ინდიკატორები:** 1) ვებ-საიტის მომხმარებელთა და მნახველთა რაოდენობა; 2) კლიპის მნახველთა რაოდენობა;
ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელი; ბიზნეს-მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის და ბიზნეს სექტორის ურთიერთობების გაღრმავება, ასევე ბიზნესის წარმომადგენელთა შორის ურთიერთობების განვითარება და საერთო ინტერესების იდენტიფიცირება, მეზობელ და რეგიონის ბიზნეს წარმომადგენლებთან თანამშრომლობის განვითარება, ახალი იდეებისა და წარმატებული გამოცდილების გაზიარება	2. ადგ. დონეზე ყოველწლიური ბიზნეს შეხვედრების და დაწესება და გამართვა 2.1 სემინარის და საქმიანი შეხვედრების გამართვა; 2 2 შეხვედრების ფარგლებში ადგილობრივი პროდუქციის/პროდუქტების გამოფენა და დემონსტრაცია, ადგილობრივი ბიზნეს ვებ-საიტის დემონსტრაცია	10.05.2019-12.05.2019 და 10.05.2020-12.05.2020 /საორიენტაციო თარიღი, სავარაუდოდ დაემთხვევა ყოველწლიურად გაზაფხულზე გასამართ ,,სულიკობის" დღესასწაულს/	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო, ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები; მეზობელი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები; საბანკო და სხვა ფინანსური ინსტიტუტებს წარმომადგენლები; საგანმანათლებლო, აკადემიური წრეებისა და ექსპერტთა წრის წარმომადგენლები; ასევე სხვა პარტნიორები და დაინტერესებული პირები	**სულ:** **54 000 ლარი** **(18 000 ევრო)** მათ შორის: 2.1 24 000 ლარი (8 000 ევრო) 2.2 30 000 ლარი (10 000 ევრო)	**მყისიერი შედეგი:** 1) მოხდა შეხვედრებში მონაწილეთა გაცნობა, დაახლოება, ურთიერთობათა გაღრმავება; 2) მოხდა საერთო ხედვებისა და ინტერესების იდენტიფიცირება; გამოცდილებისა და წარმატებული პრაქტიკის გაზიარება; საინტერესო იდეების, პროექტების ინიცირება და გაზიარება. 3) ერთგვაროვანი ბიზნესის წარმომადგენლები გაეცვნენ დარგში/სექტორში არსებულ მდგომარეობას, ერთმანეთის მიერ მიღწეულ წარმატებებს/შედეგებს **მონიტორინგის მაჩვენებლები:** 1) გამართული ღონისძიებების რაოდენობა; 2) ღონისძიებებში მონაწილე პირების რაოდენობა /სემინარებსა და შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა/;	**საბოლოო შედეგი:** 1) გაზრდილია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის და რეგიონის ბიზნეს რესურსების და შესაძლებლობების შესახებ ბიზნესმენებისა და ადგ. მოქალაქეების ინფორმირებულობა; 2) გაზრდილია ადგ. ბიზნესმენთა ურთიერთობების დონე და ნდობა; 3) გაზრდილია დაინტერესებულ პირთა ცოდნის დონე ბიზნეს სიახლეების შესახებ; 4) გამოვლენილია საერთო ხედვები და იდეები ერთობლივი პროექტებზე; 5) გაზრდილია გამოცდილებისა და იდეების გავრცელება, გამოყენების არეალი 6) შემუშავებულია ხედვები და წინადადებები ბიზნეს ფორუმისათვის **საბოლოო შედეგის ინდიკატორები:** 1) რამდენი ახალი ბიზნეს იდეა და პროექტია იდენტიფიცირებული;

						3) წარმოდგენილი პროდუქციის რაოდენობა; 4) ვებ-საიტზე განთავსებული ინფორმაციის მოცულობა და მნახველთა რაოდენობა;	2) რამდენი თანამშრომლობის ფაქტი შედგა; 3) რამდენი საწარმო და მეწარმეა ჩართული ამ პროცესებში
მიწა და ინფრასტრუქტურა; ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელი; საგრარეო პოზიციონირება და მარკეტინგი	ხელი შეეწყოს ბიზნესის განვითარებასა და დაწყებას, ინვესტიციების მოზიდვას, უფრო გაიოლდეს და ხელმისაწვდომი გახდეს მუნიც. და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება	4. ინვესტირების ხელშეწყობა 4.1 მიწის ნაკვეთების და სხვა უძრავი ქონების განახლებადი მონაცემთა ბაზის და კატალოგის შექმნა; 4.2 მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მოქმედ საწარმოთა განახლებადი მონაცემთა ბაზის და კატალოგის შექმნა;	03.01.2019-01.12. 2019 03.01.2019-01.12. 2019	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო, ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები; საგანმანათლებლო, აკადემიური წრეებისა და ექსპერტთა წრის წარმომადგენლები; ასევე სხვა პარტნიორები და დაინტერესებული პირები	**სულ:** **42 000 ლარი** **(14 000 ევრო)** შორის: 4.1 18 000 ლარი (6 000 ევრო) 4.2 24 000 ლარი (8 000 ევრო)	**მყისიერი შედეგი:** 1) სახეზეა მუნიციპალურ და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებისა და უძრავი ქონების ამსახველი განახლებადი ბაზა და კატალოგი; 2) სახეზეა მეწარმეთა, საწარმოთა და შესაძლო ვაკანსითა მონაცემთა განახლებადი ბაზა და კატალოგი; **მონიტორინგის მაჩვენებლები:** 1) მონაცემთა ბაზებში არსებული ინფორმაციის მოცულობა; 2) მონაცემების მომხმარებელთა რაოდენობა	**საბოლოო შედეგი:** 1) გაზრდილია ინვესტირების მოცულობა და სტარტ-აპების რიცხვი; 2) გაზრდილია გადაწყვეტილებების მიღების ოპერატიულობა და ეფექტურობა; 3) გაზრდილია საკუთრებაში შესყიდული და იჯარით აღებული ქონებათა რიცხვი **საბოლოო შედეგის ინდიკატორები:** 1) ინვესტიციების მოცულობა; 2) სტარტ-აპების რაოდენობა; 3) სახ-განს გამოსყიდული და იჯარით არებული ქონების რიცხვი
გარე პოზიციონირება და მარკეტინგი; ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელი; უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა	ზესტაფონის დამმობილებულ ქალაქებთან და ბიზნეს წრეებთან საქმიანი და პარტნიორული ურთიერთობების დაწყება და განვითარება; ასევე ამავე ქვეყნებში სხვა პოტენციური პარტნიორებისა და გასაღების ბაზრის მოძიება	6. საუკეთესო ადგილობრივი მეწარმეების და მენეჯერების საქმიანი შეხვედრების ორგანიზება, გამოფენებში, სემინარებსა და ბიზნეს ფორუმებში მონაწილეობა, ადგილობრივი პროდუქტების დემონსტრირება და რეკლამირება. ასევე სპეციალისტების მიზნობრივი მივლინება სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით	01.01.2019-30.12.2020 მთელი პერიოდის განმავლობაში წელიწადში ერთხელ ერთ დამმობილებულ ქალაქსა და ქვეყანაში (სულ წელიწადში 3 გასვლითი შეხვედრა და 5-5 პირის მივლინება 5-დან 10 დღიით)	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო, ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები; დონორები და ინვესტორები, საგანმანათლებლო, აკადემიური წრეებისა და ექსპერტთა წრის წარმომადგენლები; ასევე სხვა პარტნიორები და დაინტერესებული პირები	**90 000 ლარი** **(30 000 ევრო)**	**მყისიერი შედეგი:** 1) მოხდა ახალი ბიზნეს ურთიერთობების ჩამოყალიბება; 2) მოხდა პარტნიორებისა და ინვესტორების მოძიება; 3) მოხდა პოტენციური გასაღების ბაზრის შესწავლა; 4) მოხდა კვალიფიკაციის ამაღლება **მონიტორინგის მაჩვენებლები:** 1) გასვლით ღონისძიებებში ჩართული პირების რაოდენობა; 2) მივლინებაში მყოფთა რიცხვი: 3) მივლინებაში გატარებულ დღეთა რაოდენობა	**საბოლოო შედეგი:** 1) გაზრდილია მუნიციპალიტეტის ბიზნეს შესაძლებლობების შესახებ უცხოელი პარტნიორების ინფორმირებულობა და დაინტერესება და ნდობა; 2) გაზრდილია დაინტერესებულ პირთა ცოდნის დონე ევროპული გამოცდილების და ბიზნეს საქმიანობისა შესახებ; 3) ჩამოყალიბებულია საქმიანი ურთიერთობები **საბოლოო შედეგის ინდიკატორები:** 1) შემდგარი ურთიერთობების და დადებული კონტრაქტების რიცხვი; 2) უცხოელი პარტნიორების მიერ განხორციელებული ინვესტიციები

ურსურსები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა; ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელი	ბიზნეს საქმიანობისათვის საჭირო და აუცილებელი საინფორმაციო და საკონსულტაციო უზრუნველყოფა, თანამედროვე ტექნოლოგიების, ინოვაციებისა და ახალი ცოდნის გავრცელება და პოპულარიზაცია	7. ,,საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის" ჩამოყალიბება; მიმართულებები: ა) სამართლებრივი: ბ) ეკონომიკური და ფინანსური ანალიზი; გ) დაფინანსების მოპოვება და მცირე გრანტების გაცემის ორგანიზება; დ) მარკეტინგი რეკლამა და PR; ვ) ვებ-გვერდის ადმინისტრირება; ზ) მონაცემთა ბაზების მართვა; თ) ბუკლეტების და ბროშურების გამოცემა; ი) საზოგ. აზრის გამოკითხვები;	01.01.2019 წ - 30.08.2019 წ.	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო, ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები; დონორები და ინვესტორები, საგანმანათლებლო, აკადემიური წრეებისა და ექსპერტთა წრის წარმომადგენლები; ასევე სხვა პარტნიორები და დაინტერესებული პირები	**96 000 ლარი (32 000 ევრო)**	**მყისიერი შედეგი:** 1) შექმნილია საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი; 2) ცენტრის რესურსებით სარგებლობენ ბიზნესის წარმომადგენლებს, სხვა დაინტერესებულ პირები; 3) ცენტრი ახორციელებს მრავალპროფილურ **მომსახურებას** **მონიტორინგის მაჩვენებლები:** 1) გაწეული მომსახურებათა საერთო რიცხვი და ცალკეული თემატური მიმართულების მიხედვით მომსახურებათა რაოდენობა; 2) მონაცემთა ბაზებში არსებული ინფორმაციის მოცულობა და მათი გამოყენების სიხშირე; 3) ვებ-გვერდის მოწონებათა რაოდენობა;	**საბოლოო შედეგი:** 1) ამაღლებულია მნიშვნელოვან ინფორმაციაზე წვდომის ხარისხი; 2) გაიოლებულია შეფასების, ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი; 3) ამაღლებულია ბიზნესის ეფექტურობა **საბოლოო შედეგის ინდიკატორები:** 1) ბიზნესმენთა აქტიურობა და გამოხმაურება; 2) წარმატებული პროექტების რაოდენობა; 3) ახალდაარსებულ ბიზნესთა რაოდენობა; 4) განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა; 5) წარმატებული პროექტების რაოდენობა
ურსურსები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა: ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელი	სხვადასხვა კატეგორიის დაუსაქმებელი და დასაქმებულთა (მ.შ. შშმპ) პირების სწავლების, გადამზადების, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზება და დასაქმებაში ხელშეწყობა	8. ,,დასაქმების ხელშემწყობი ცენტრის" ჩამოყალიბება მიმართულებები: ა) საწარმოთა და ვაკანსიების განახლებადი მონაცემთა ბაზის წარმოება; ბ) სწავლებისა და გადამზადების სისტემის ორგანიზება და სწავლებისა და გადამზადების განხორციელება	01.01.2019 წ - 30.08.2019 წ.	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო, ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები; დონორები და ინვესტორები, საგანმანათლებლო, აკადემიური წრეებისა და ექსპერტთა წრის წარმომადგენლები; ასევე სხვა პარტნიორები და დაინტერესებული პირები	**75 000 ლარი (25 000 ევრო)**	**მყისიერი შედეგი:** 1) შექმნილია დასაქმების ხელშემწყობი ცენტრი; 2) შექმნილია საწარმოთა და ვაკანსიების განახლებადი მონაცემთა ბაზა; 2) მომსახურებით სარგებლობენ ბიზნესის წარმომადგენლები, შშმპ, სხვა დაინტერესებული პირები; 3) ცენტრი ახორციელებს მრავალპროფილურ სწავლებას **მონიტორინგის მაჩვენებლები:** 1) სწავლების პროცესში ჩართული პირების (მ.შ. შშმპ) რიცხვი 2) თემატური მიმართულების მიხედვით მოსწავლეთა რიცხვი; 3) მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის მოცულობა და მისი გამოყენების სიხშირე;	**საბოლოო შედეგი:** 1) ამაღლებულია კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის დონე; 2) გაზრდილია დასქმების შესაძლებლობა და არჩევანი; 3) ამაღლებულია ბიზნესის ეფექტურობა. **საბოლოო შედეგის ინდიკატორები:** 1) დასაქმების მსურველთა აქტიურობა და გამოხმაურება; 2) ახალდასაქმებულთა რაოდენობა; 3) ბიზნესებში კვალიფიკაციის ამაღლებული პირების ჩართვისა და დაწინაურების ფაქტების რიცხვი

წვდომა ფინანსებზე; ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელი; გარე პოზიციონირება და მარკეტინგი	ბიზნეს პროექტების დაფინანსების ხელშეწყობა და წახალისება, დაფინანსებისა და თანადაფინანსების მექანიზმის შექმნა (კონკურსის წესით) და ამოქმედება	9. მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, ასევე ახალ შექმნილი საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის მიერ ტარდება მუნიციპალიტეტის (ან რეგიონალური) ბიზნეს იდეების/პროექტების კონკურსი.	01.10.2019-30.12.2020 წელიწადში ერთხელ ჩატარდება ღია კონკურსი საუკეთესო პროექტის, პროგრამის, ბიზნეს გეგმის/გეგმების გამოვლენისათვის (1 - პირველი, 2 - მეორე და 3 - მესამე ადგილოსანის გამოვლენისათვის), მათი შემდგომი დაფინანსებით ან თანადაფინანსებით.	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო, ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები; დონორები და ინვესტორები, საგანმანათლებლო, აკადემიური წრეებისა და ექსპერტთა წრის წარმომადგენლები; ასევე სხვა პარტნიორები	**270 000 ლარი (90 000 ევრო)**	**მყისიერი შედეგი:** 1) მოხდა მეწარმეების მოტივირება, არსებული ბიზნესის განვითარების სტიმულირება და ახალი ბიზნეს იდეების ინიცირება; 2) მოხდა ბიზნეს პროექტების, პროგრამებისა და ბიზნეს გემების მომზადება და წარმოდგენა; 3) გამოვლინდა კონკურსში გამარჯვებული ბიზნეს პროექტები **მონიტორინგის მაჩვენებლები:** 1) კონკურსში მონაწილე სუბიექტების რაოდენობა; 2) კონკურსში მონაწილე პროექტების რაოდენობა; 3) გამარჯვებული პროექტების რიცხვი	**საბოლოო შედეგი:** 1) წახალისებული და განვითარებულია ბიზნესის კონკრეტული მიმართულებები; 2), დასაქმებულია ახალი მუშახელი; 3) ამაღლებულია კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის დონე; 4) გაზრდილია დასქმების შესაძლებლობა და არჩევანი; 5) ამაღლებულია ბიზნესის ეფექტურობა **საბოლოო შედეგის ინდიკატორები:** 1) სტარტ-აპების რაოდენობა; 2) ახალდასაქმებულთა რაოდენობა; 3) წარმატებით განხორციელებულ ბიზნეს პროექტთა რაოდენობა; 4) დაფინანსების მოცულობა; 5) მიღებული შემოსავლების მოცულობა
ბიზნეს-მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია; ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელი; გარე პოზიციონირება და მარკეტინგი	ქალაქ ზესტაფონში და საავტომობილო მაგისტრალის გასწვრივ რამდენიმე წინასწარ შერჩეულ ლოკაციაზე მაღალი დონის სავაჭრო ინფრასტრუქტურის მოწყობა	10. მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, ასევე დაინტერესებული მეწარმეების ჩართულობით ეწყობა 5 ან 6 სავაჭრო ინფრასტრუქტურა	01.01.2019-30.12.2020 მთელი პერიოდის განმავლობაში.	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო, ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები; დონორები და ინვესტორები	**300 000 ლარი (100 000 ევრო)**	**საბოლოო შედეგი:** 1) ჩამოყალიბდა ადგილობრივი და უცხოელი ტურისტებისათვის მიმზიდველი და მოსახერხებელი სავაჭრო სივრცე; **მონიტორინგის მაჩვენებლები:** 1) მოწყობილი სავაჭრო ობიექტების რაოდენობა; 2) ობიექტებში განთავსებული მეწარმე სუბიექტების რიცხვი;	**საბოლოო შედეგი:** 1) გაზრდილია მუნიციპ-ის ბიზნეს შესაძლებლობების შესახებ უცხოელი ტურისტებისა და პოტენციური ინვესტორების მხრიდან ცნობადობა და დაინტერესება; 2) გაზრდილია ვაჭრობისა და კომერციული გარიგებების რიცხვი **საბოლოო შედეგის ინდიკატორები:** 1) სავაჭრო ობიექტებზე განხორციელებული ოპერაციების რაოდენობა; 2) საერთო შემოსავლები

შენიშვნა:. ,,დასაქმების ხელშემწყობი ცენტრის" საქმიანობის ძირითადი მიმართულებები ამ ეტაპზე შემდეგნაირადაა განსაზღვრული /მომავალში ვუშვებთ გარკვეული ცვლილებების შესაძლებლობას/:

ა) მუნიციპალიტეტში მოქმედ საწარმოთა ერთიანი ჩამონათვალისა და არსებული ვაკანსიების განახლებადი მონაცემთა ბაზის წარმოება;

ბ) სწავლებისა და გადამზადების სისტემის ორგანიზება /შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებებით: მევენახეობა და მეღვინეობა; მეთუნეობა და კერამიკა; - გასტრონომია და კულინარია, კვების მომსახურება/:

- კონკრეტული სეგმენტის, დარგის სპეციფიკური თემატიკა და მისი განვითარების ტენდენციები;
- მენეჯმენტი და მარკეტინგი;
- კომპიუტერული პროგრამები და ელკომუნიკაცია;
- ბუღალტერია და საგადასახადო კოდექსი;
- ინგლისური (მ.შ. ბიზნეს ინგლისური) ენის სწავლება.

10. დაფინანსების სქემა ზესტაფონი

ღონისძიებები	საორიენტაციო ღირებულება	დაფინანსების წყარო				წყვეტა დაფინანსებაში	შენიშვნები
		ადგილობრივი ბიუჯეტი	მაღალი დონის ბიუჯეტი	ბიზნესი	დონორები		
1.1 ვებ-საიტის შექმნა	6 000 ლარი (2 000 ევრო)	6 000 ლარი (2 000 ევრო)					
1.2 საინფორმაციო-საიმიჯო კლიპის შექმნა	9 000 ლარი (3 000 ევრო)	9 000 ლარი (3 000 ევრო)					
2.1 სემინარის და საქმიანი შეხვედრების გამართვა;	24 000 ლარი (8 000 ევრო)	12 000 ლარი (4 000 ევრო)			12 000 ლარი (4 000 ევრო)		
2.2 შეხვედრების ფარგლებში ადგილობრივი პროდუქციის გამოფენა და დემონსტრაცია, ადგილობრივი ბიზნეს ვებ-საიტის დემონსტრაცია	30 000 ლარი (10 000 ევრო)	15 000 ლარი (5 000 ევრო)			15 000 ლარი (5 000 ევრო)		
3.1 ბიზნეს ფორუმის ფარგლებში კონფერენციის და/ან სემინარების, ასევე საქმიანი შეხვედრების გამართვა;	45 000 ლარი (15000 ევრო)	27 000 ლარი (9 000 ევრო)			18 000 ლარი (6 000 ევრო)		
3.2 ფორუმის ფარგლებში ადგილობრივი პროდუქციის /პროდუქტების გამოფენა და დემონსტრაცია, საუკეთესი პროდუქტების გამოვლენა	36 000 ლარი (12 000 ევრო)	15 000 ლარი (5 000 ევრო)		6 000 ლარი (2 000 ევრო)	15 000 ლარი (5 000 ევრო)		
3.3 დასკვნითი შემაჯამებელი შეხვედრა და მუნიციპალიტეტის შესახებ მომზადებული საინფორმაციო-საიმიჯო კლიპის დემონსტრირება, გამარჯვებულთა დაჯილდოება	9 000 ლარი (3000 ევრო)			9 000 ლარი (3 000 ევრო)			
4.1 მუნიციპალიტეტში მიწის ნაკვეთებისა და სხვა უძრავი ქონების შესახებ საინვესტიციო განახლებადი მონაცემთა ბაზისა და კატალოგის შექმნა;	18000 ლარი (6 000 ევრო)				18 000 ლარი (6 000 ევრო)		
4.2 მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მოქმედ საწარმოთა და მეურნეთა შესახებ განახლებადი მონაცემთა ბაზისა და კატალოგის შექმნა;	24 000 ლარი (8 000 ევრო)				24 000 ლარი (8 000 ევრო)		

5. საუკეთესო ადგილობრივი მეწარმეების და მენეჯერების გასვლითი საქმიანო შეხვედრების ორგანიზება, გამოფენებში, სემინარებსა და ბიზნეს ფორუმებში მონაწილეობა, ადგილობრივი პროდუქტების ა რეკლამირება. ასევე სპეციალისტების მიზნობრივი მივლინება სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით	90 000 ლარი (30 000 ევრო)	30 000 ლარი (10 000 ევრო)		30 000 ლარი (10 000 ევრო)	30 000 ლარი (10 000 ევრო)		
6. საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება	96 000 ლარი (32 00 ევრო)	36 000 ლარი (12 000 ევრო)	36 000 ლარი (12 000 ევრო)		24000 ლარი (8 000 ევრო)		
7. ,,დასაქმების ხელშემწყობი ცენტრის" ჩამოყალიბება და ფუნქციონირება	75 000 ლარი (25 00 ევრო)	18 000 ლარი (6 000 ევრო)		21 000 ლარი (7 000 ევრო)	36 000 ლარი (12 000 ევრო)		
8. ანტიკორუფციული საბჭოს შექმნა და საქმიანობა	12 000 ლარი (4000 ევრო)	12 000 ლარი (4 000 ევრო)					
9. მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, ასევე ახალ შექმნილი საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის მიერ ტარდება ბიზნეს იდეების /პროექტების კონკურსი	270 000 ლარი (90 000 ევრო)	60 000 ლარი (20 000 ევრო)	60 000 ლარი (20 000 ევრო)	60 000 ლარი (20 000 ევრო)	90 000 ლარი (30 000 ევრო)		
10. მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, ასევე დაინტერესებული მეწარმეების ჩართულობით ეწყობა 5 ან 6 სავაჭრო ინფრასტრუქტურა	300 000 ლარი (100 000 ევრო)	90 000 ლარი (30 000 ევრო)	60 000 ლარი (20 000 ევრო)	60 000 ლარი (20 000 ევრო)	90 000 ლარი (30 000 ევრო)		
ჯამი	**1044 000 ლარი** **348 000 ევრო**	**330 000 ლარი** **110 000 ევრო**	**156 000 ლარი** **52 000 ევრო**	**186 000 ლარი** **62 000 ევრო**	**372 000 ლარი** **124 000 ევრო**	**0 ლარი** **0 ევრო**	

11. ქმედებების შიდა მონიტორინგის გეგმა

ქმედება	*ხანგრძლივობა (დაწყება/ დასრულება)*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 1-6*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 7-12*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 13-18*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 19-24*
1.1 ვებ-საიტის შექმნა	12.01.2019 - 30.04.2019	შექმნილია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიზნეს ვებ-საიტი	ხდება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიზნეს ვებ-საიტი განახლება და მასზე თავისუფალი წვდომა	ხდება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიზნეს ვებ-საიტი განახლება და მასზე თავისუფალი წვდომა	ხდება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიზნეს ვებ-საიტი განახლება და მასზე თავისუფალი წვდომა
1.2 საინფორმაციო-საიმიჯო კლიპის შექმნა	12.01.2019 - 27.09.2019	შექმნილია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საიმიჯო კლიპი (3-5 წთ)	მოხდა კლიპის დემონსტრირება და გავრცელება ინტერნეტის მეშვეობით	ხდება კლიპის დემონსტრირება და გავრცელება ინტერნეტის მეშვეობით	ხდება კლიპის დემონსტრირება და გავრცელება ინტერნეტის მეშვეობით
2. ყოველწლიური ბიზნეს შეხვედრების და დაწესება და გამართვა	10.05.2019-12.05.2019 და 10.05.2020-12.05.2020	გამართულია ბიზნეს შეხვედრების პირველი ეტაპი, ჩატარდა დაგეგმილი ღონისძიებები	ხდება ანალიზი და გავრცელება; მზადების და შესრულების პროცესშია მიღებული გადაწყვეტილებები	გამართულია ბიზნეს შეხვედრების პირველი ეტაპი, ჩატარდა დაგეგმილი ღონისძიებები	ხდება ანალიზი და გავრცელება; მზადების და შესრულების პროცესშია მიღებული გადაწყვეტილებები
2.1 სემინარის და საქმიანი შეხვედრების გამართვა;	10.05.2019 - 11.05.2020	ადგ. ხელისუფლებისა და ბიზნეს წრეების წარმომადგენლებმა ერთმანეთს გაუზიარეს შეხედულებები სხვადასხვა საკითხზე და ბიზნეს პროექტის შესახებ	ხდება ანალიზი და გავრცელება; მზადების და შესრულების პროცესშია მიღებული გადაწყვეტილებები	ადგ. ხელისუფლებისა და ბიზნეს წრეების წარმომადგენლებმა ერთმანეთს გაუზიარეს შეხედულებები სხვადასხვა საკითხზე და ბიზნეს პროექტის შესახებ	ხდება ანალიზი და გავრცელება; მზადების და შესრულების პროცესშია მიღებული გადაწყვეტილებები
2.2 შეხვედრების ფარგლებში ადგილობრივი პროდუქციის/პროდუქტების გამოფენა და დემონსტრაცია, ადგილობრივი ბიზნეს ვებ-საიტის დემონსტრაცია	12.05.2019 - 12.05.2020	მოხდა ადგილობრივი პროდუქციის გამოფენა და დემონსტრაცია, ადგილობრივი ბიზნეს ვებ-საიტის დემონსტრაცია	ხდება ანალიზი და გავრცელება;	ადგილობრივი პროდუქციის/პროდუქტების გამოფენა და დემონსტრაცია, ადგილობრივი ბიზნეს ვებ-საიტის დემონსტრაცია	ხდება ანალიზი და გავრცელება;
3. ყოველწლიური ბიზნეს ფორუმის დაწესება და გამართვა	20.10.2019-27.10.2019 და 20.10.2020-27.10.2020	მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები	ჩატარებულია პირველი ბიზნეს-ფორუმი		ჩატარებულია მეორე ბიზნეს-ფორუმი

3.1 ფორუმის ფარგლებში კონფერენციის და/ან სემინარების, ასევე საქმიანი შეხვედრების გამართვა;	21.10.2019-24.10.2019 და 21.10.2020-24.10.2020		გაიმართა კონფერენცია, ჩატარდა საქმიანი შეხვედრები, მოხდა გამოცდილებისა გაზიარება, დაიგეგმა სამომავლო შეხვედრები	ხდება ბიზნეს ფორუმის შედეგების გავრცელება და ანალიზი, დაგეგმილი შეხვედრების გამართვა	გაიმართა კონფერენცია, ჩატარდა საქმიანი შეხვედრები, მოხდა გამოცდილებისა გაზიარება, დაიგეგმა სამომავლო შეხვედრები
3.2 ფორუმის ფარგლებში ადგილობრივი პროდუქციის/პროდუქტების გამოფენა და დემონსტრაცია, საუკეთესი პროდუქტების გამოვლენა	25.10.2019-26.10.2019 და 25.10.2020-26.10.2020		გაიმართა ადგილობრივი პროდუქტების გამოფენა და დემონსტრაცია, მოხდა საუკეთესი პროდუქტების გამოვლენა	ხდება შედეგების ანალიზი და გავრცელება	გაიმართა ადგილობრივი პროდუქტების გამოფენა და დემონსტრაცია, მოხდა საუკეთესი პროდუქტების გამოვლენა
3.3 დასკვნითი შემაჯამებელი შეხვედრა და მუნიციპალიტეტის შესახებ მომზადებული საინფორმაციო-საიმიჯო კლიპის დემონსტრირება, გამარჯვებულთა დაჯილდოება	27.10.2019 - 27.10.2020		გაიმართა დასკვნითი შემაჯამებელი შეხვედრა, მუნიციპალიტეტის შესახებ მომზადებული საინფორმაციო-საიმიჯო კლიპის დემონსტრირება, გამარჯვებულთა დაჯილდოება	ხდება შედეგების ანალიზი და გავრცელება	გაიმართა დასკვნითი შემაჯამებელი შეხვედრა, მუნიციპალიტეტის შესახებ მომზადებული საინფორმაციო-საიმიჯო კლიპის დემონსტრირება, გამარჯვებულთა დაჯილდოება
4.1 მუნიციპალიტეტში მიწის ნაკვეთებისა და სხვა უძრავი ქონების შესახებ საინვესტიციო განახლებადი მონაცემთა ბაზისა და კატალოგის შექმნა;	03.01.2019-01.12. 2020	მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები	შექმნილია მუნიციპალიტეტში მიწის ნაკვეთებისა და სხვა უძრავი ქონების შესახებ საინვესტიციო განახლებადი მონაცემთა ბაზები და კატალოგი;	ხდება მუნიციპალიტეტში მიწის ნაკვეთებისა და სხვა უძრავი ქონების შესახებ საინვესტიციო მონაცემთა ბაზების განახლება და გამოყენება	ხდება მუნიციპალიტეტში მიწის ნაკვეთებისა და სხვა უძრავი ქონების შესახებ საინვესტიციო მონაცემთა ბაზების განახლება და გამოყენება
4.2 მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მოქმედ საწარმოთა და მეურნეთა შესახებ განახლებადი მონაცემთა ბაზისა და კატალოგის შექმნა;	01.02.2019-01.12.2020	მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები	შექმნილია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მოქმედ საწარმოთა და მეურნეთა შესახებ განახლებადი მონაცემთა ბაზა და კატალოგი;	ხდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მოქმედ საწარმოთა და მეურნეთა შესახებ მონაცემთა ბაზის განახლება და გამოყენება	ხდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მოქმედ საწარმოთა და მეურნეთა შესახებ მონაცემთა ბაზის განახლება და გამოყენება

5. საუკეთესო ადგილობრივი მეწარმეების, მენეჯერების გასვლითი საქმიანო შეხვედრების ორგანიზება, გამოფენებში, სემინარებსა და ბიზნეს ფორუმებში მონაწილეობა, ადგილობრივი პროდუქტების დემონსტრირება და რეკლამირება. ასევე სპეციალისტების მიზნობრივი მივლინება	01.01.2019-30.12.2020	მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები	განხორციელდა საუკეთესო ადგილობრივი მეწარმეების და სპეციალისტებისა გასვლითი საქმიანო შეხვედრები; მოეწყო მათი პროდუქციის დემონსტრირება, შედგა საქმიანი ურთიერთობები და ა. შ.	ხდება შედეგების ანალიზი და გავრცელება	განხორციელდა საუკეთესო ადგილობრივი მეწარმეების და სპეციალისტებისა გასვლითი საქმიანო შეხვედრები; მოეწყო მათი პროდუქციის დემონსტრირება, შედგა საქმიანი ურთიერთობები და ა. შ.
6. საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ჩამოყალიბება და საქმიანობა	01.01.2019 - 30.08.2019	მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები	შექმილია საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის და დაწყებულია მომსახურების მიწოდება	ხდება მომსახურების მიწოდება	ხდება მომსახურების მიწოდება
7. ,,დასაქმების ხელშემწყობი ცენტრის" ჩამოყალიბება და საქმიანობა	01.01.2019 წ - 30.08.2019 წ.	მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები	შექმნილია მუნიციპალიტეტში მოქმედ საწარმოთა ერთიანი ჩამონათვალისა და არსებული ვაკანსიების განახლებადი მონაცემთა ბაზის წარმოება;	ხდება მონაცემთა ბაზის განახლება და გამოყენება; ხორციელდება სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლება	ხდება მონაცემთა ბაზის განახლება და გამოყენება; ხორციელდება სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლება
8. ანტიკორუფციული საბჭოს შექმნა და საქმიანობა	01.02.2019-30.12.2020	შეიქმნა ცხრა კაციანი ანტიკორუფციული საბჭო, დამტკიცებულია სამუშაო გეგმა და დაწყებულია მუსაობა გეგმის შსაბამისად	ანტიკორუფციული საბჭო, მუსაობს დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად	ანტიკორუფციული საბჭო, მუსაობს დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად	ანტიკორუფციული საბჭო, მუსაობს დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად
9. მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, ასევე ახალ შექმნილი საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის მიერ ტარდება მუნიციპალიტეტის (ან რეგიონალური) ბიზნეს იდეების/პროექტების კონკურსი.	01.10.2019-30.12.2020	მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები	მომზადებულია კონკურსის ჩატარებისათვის საჭირო დოკუმენტები (პირობები, მონაწილენი, პრიორიტეტები, შეფასების მეთოდიკა, ჟიური და ასე შემდეგ)	ჩატარებულია პირველი კონკურსი, გამოვლენილი არიან გამარჯვებულები	მიმდინარეობს გამარჯვებული პროექტების განხორციელება და მისი მონიტორინგი
10. მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, ასევე დაინტერესებული მეწარმეების ჩართულობით ეწყობა 5 ან 6 სავაჭრო ინფრასტრუქტურა	01.10.2019-30.12.2020	მოწყობილია ერთი სავაჭრო ინფრასტრუქტურა	მოეწობილია კიდევ ერთი სავაჭრო ინფრასტრუქტურა	მოწყობილია კიდევ ორი სავაჭრო ინფრასტრუქტურა	მოწყობილია კიდევ ერთი/ორი სავაჭრო ინფრასტრუქტურა

11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს განახორციელებს პარტნიორობის მიერ ჩამოყალიბებული ,,მონიტორინგის კომიტეტი“ 5 პირის შემადგენლობით, რომელთაგან 2 იქნება ადგილობრივი თვითმმართველობიდან, 1 - სამოქალაქო სექტორიდან, ხოლო 2 - ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენელი.

მონიტორინგის ჯგუფში დაცული იქნება გენდერული ბალანსი (პირობით 3 ქალი და 2 მამაკაცი ან პირიქით).

ჯგუფი ყოველ 3 თვეში მინიმუმ ერთხელ შეიკრიბება. შეაჯამებს შესრულებულ სამუშაოებს და გაანალზებს მიღწევებსა და ხარვეზებს. იმსჯელებს ხარვეზების გამომწვევ მიზეზებზე და დასახავს მათი გამოსწორების გზებს. ასევე იმსჯელებს სამომავლო ღონისძიებების განხორციელების შესაძლო დამაბრკოლებელ ფაქტორებსა და მათი თავიდან აცილების ღონისძიებებზე.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმაში გაწერილი ღონისძიებების შესრულების ეფექტიანობას სამუშაო ჯგუფი შეაფასებს სამოქმედო გეგმაში მოცემული შედეგებისა და მონიტორინგის ინდიკატორების მიხედვით. ამისათვის საჭირო მონაცემების მოპოვება განხორციელდება უწყვეტ რეჟიმში შესაბამისი სტრუქტურებისა და პასუხისმგებელი პირების უშუალო მონაწილეობით.

მონიტორინგის ეფექტურად განხორციელების მიზნით შეიქმნება საქმიანობათა აღრიცხვის ელექტრული ჟურნალი, რომელშიც ყოველდღიურ რეჟიმში აღირიცხება თითეული აქტივობა, შემსრულებელი/ები და მიღებული ან მოსალოდნელი შედეგი, ასევე სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. პერიოდულად და მოთხოვნის შესაბამისად, გაწეული საქმიანობების ანგარიში წარედგინება „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ სამდივნოს, ასევე ადგილობრივ საზოგადოებას.